საკომო გაზეთი

№4 (509) • 13 თებერვალი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

საბედისწერო ინერცია

სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა შევარდნაძის ხელისუფლებამ შვა ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული სააკაშვილის ხელისუფლება

მაწანწალა და შიზოფრენიკი სააკაშვილი რას ბოდავს, ეს კი არ არის საინტერესო. საინტერესო ის არის, რა ძალები დგანან მის უკან?

ხალხის დაბოლება ანუ თამაშები არიფთა ტვინების გამოსარეცხად

ჯამბაზები ტყემლის ხეზე

ყურებითა და ყვ....ბით დაჭერილთა შესახებ

ბატონო ბაჩანა, ამ მიხეილს (ბატიაშვილს) რომ ეკითხებით მხოლოდ, იმ მიხეილს (სააკაშვილს) რატომ არ ჰკითხეთ, დედა ჰყავს თუ არა?





გია და გია

ნაციონალების მიერ სკოლიდან გამოყრილი მასწავლებლები დღეს საზღვარგარეთ მომვლელებად მუშაობენ

საბედისწერო ინერცია

სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა შევარდნაძის ხელისუფლებამ შვა ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული სააკაშვილის ხელისუფლება

ვახტანგ ხარჩილავა:

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ორი უმძაფრესი ტური დამთავრდა — საბოლოო შედეგები დაიდო, პრეზიდენტიც ავირჩიეთ და ცხოვრებაც მშვიდ და ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა, თუმცა ეს არჩევნები იმდენად საინტერესო, იმდენად მძაფრი და მოულოდნელი დეტალებით იყო სავსე, მეგონა, არჩევნების შემდეგ აუცილებლად გაკეთდებოდა ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი იმისა, რა ხდებოდა ამ არჩევნებში და რასთან გვქონდა საქმე.

სხვა ნიუანსებს რომ თავი დავანებოთ, ცალსახად შეიძლება ითქვას — 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები „ქართული ოცნების“ მთავარმა კონკურენტმა ე.წ. „გაერთიანებულმა ოპოზიციამ“, ანუ იგივე „ნაცმოძრაობამ“, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ზღვარზე ჩაატარა.

უცნაურ რაღაცას ვამბობ, არა? თუ არჩევნები იყო, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა რა ფორმით შეიძლება საარჩევნო პროცესს მისადაგებოდა და პარალელურ რეჟიმში ეარსება, როგორც ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს?

ერთი შეხედვით მართლაცდა ალოგიკურია ეს მოსაზრება, თუმცა თუ თვალს გავადევნებთ I და II ტურის ამსახველ დოკუმენტურ მასალებს — ტელესიუჟეტებს, ტელეგადაცემებს, ტელეშოუებს, საგაზეთო პუბლიკაციებს, „ნაცმოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე გამომსვლელთა მოწოდებებს, ადვილად დარწმუნდებით, რომ ჩემს მიერ გამოთქმულ ამ უცნაურ და ალოგიკურ მოსაზრებაში, სინამდვილეში, არაფერია უცნაური და ალოგიკური.

„რუსთავი-2“-ში, ნაცმოძრაობის“ მთავარ იდეოლოგიურ შტაბში, რამდენიმე წელიწადია, ფაქტობრივად, ღიად და სახალხოდ მიდის სახელმწიფო გადატრიალების გეგმის სხვადასხვა ვარიანტების განხილვა, რომელშიც სისტემატურად ერთვება საზღვარგარეთიდან ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საქართველოს მოქალაქეც კი არ არის და, წესით და რიგით, არჩევნებთან არც არაფერი ესაქმება, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს, კონკრეტული დავალებები და ინსტრუქციები მისცეს თავის მხარდამჭერებს და იქვე დააყოლოს, რომ ის სულ მალე გადმოკვეთს საქართველოს საზღვარს და მის ერთგულ ლაშქარს წინ წაუძღვება, რომ ივანიშვილის ხელისუფლება დაამარცხოს.

სააკაშვილი არ აზუსტებს, როგორ აპირებს იგი საქართველოს საზღვრების გადმოკვეთას — შეიარაღებული რაზმების დახმარებით, არალეგალური გზით, კონსპირაციულად თუ უკრაინაში აპრობირებულ მეთოდს გამოიყენებს და მესაზღვრეთა კორდონს მხარდამჭერების დახმარებით გაარღვევს, თუმცა, ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ეს ყველაფერი არანაირად არ ჯდება არჩევნების საყოველთაოდ დადგენილ სტანდარტებში — ეს ძალისმიერი მეთოდებით, ძალადობრივი გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ანუ სახელმწიფო გადატრიალებაა.

სააკაშვილი „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან ღიად მოუწოდებს ამომრჩევლებს, გამოაცხადონ საყოველთაო დაუმორჩილებლობა, შექმნან კომიტეტები, დაიკავონ და ბლოკადაში მოაქციონ სახელმწიფო დაწესებულებები და ა. შ.

ყველაფრის გვირგვინი კი მაინც პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის ის „ისტორიული“ ფრაზა იყო, რომელიც ასე ჟღერდა: **ჩვენ მშვიდობიანად უნდა დავამხოთ ეს ხელისუფლება!**

ხელისუფლების მშვიდობიანად დამხობა — ეს რაღაც ახალია, რომელიც მხოლოდ ვაშაძის რაციონალიზატორულ თავში შეიძლებოდა დაბადებულიყო.

●

არჩევნები დამთავრდა, მაგრამ არც არჩევნების პროცესში, არც არჩევნების შემდეგ, როგორც ვთქვით, არავის უფიქრია კვალიფიციური, ობიექტური ანალიზი გაეკეთებინა 2018 წლის არჩევნებში მომხდარი ამბებისთვის და სათანადო პოლიტიკური თუ სამართლებრივი დასკვნები დაედო.

ამის გაკეთება საჭირო იყო თუნდაც იმიტომ, რომ **არ შეიძლება ქვეყანა მუდმივი ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ, სახელმწიფო გადატრიალების მუდმივი შიშისა და მუქარის ქვეშ ცხოვრობდეს, ხოლო იმ ძალებს, რომლებიც ამას აკეთებენ, პასუხს არავინ არ სთხოვდეს.**

ყველა უბედურება, რაც დღეს საქართველოს სჭირს, გასული საუკუნის 90-იანი წლების იმ ტრაგიკული წამიდან მოდის, როცა რუსთაველზე ტყვია გავარდა — იმ წამიდან მოდის ქვეყნის ეკონომიკის მოშლა, მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება, მევახშეებად ქცეული ბანკების თავგასულობა, კლანების თარეში, აგრესია, უნდობლობა, სიძულვილი ადამიანებს შორის, ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი გადინება და, რაც მთავარია, ტერიტორიების დაკარგვა.

მიუხედავად იმისა, რომ 28 წელი გავიდა, მერწმუნეთ, 90-იან წლებში დაწყებული დაპირისპირება ორ საქართველოს შორის აქამდე არ დამთავრებულა და ის მანამდე არც დამთავრდება, სანამ სამართალი არ იზეიმებს.

ჩვენ სამართლიანობის აღდგენაზე ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ვლაპარაკობთ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ 9-წლიან რეჟიმზე, ამ დროს სამართლიანობის აღდგენას 90-იანი წლებიდან თუ არ დავიწყებთ, ვერც „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ მმართველობას გამოვუტანთ ობიექტურ განაჩენს, რადგან „ნაცმოძრაობა“ პირდაპირი სამართალმემკვიდრეა იმ ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ძალებისა, რომლებიც ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდნენ.

„ნაცმოძრაობამ“ გააგრძელა წინამორბედის ტრადიცია და 2003 წელს თვითონაც სახელმწიფო გადატრიალების გზით მიიტაცა ძალაუფლება, რომელსაც ლამაზი და პოეტური სახელწოდება — „ვარდების რევოლუცია“ შეერქვა.

რა ვარდები და რისი იები, როცა პარლამენტში ჯავშანჟილეტებში ჩაცმული, კბილებამდე შეიარაღებული ადამიანები შეიჭრნენ და პარლამენტი ძალის გამოყენებით გარეკეს.

სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსულმა შევარდნაძის ხელისუფლებამ შვა ასევე სახელმწიფო გადატრიალების გზით მოსული სააკაშვილის ხელისუფლება.

ორივე ეს ხელისუფლება ერთი მთელის ორი ნაწილია, ერთიმეორის დასაწყისი და გაგრძელებაა, ამ გაგრძელებას კი კიდევ შეიძლება ჰქონდეს გაგრძელება და ზუსტად იმნაირი გაგრძელება, როგორითაც გადატრიალებათა მთელი ეს ჯაჭვი დაიწყო — ხელისუფლებაში დაბრუნება ისევ სახელმწიფო გადატრიალების გზით, რომლის განხორციელებასაც შვიდი წელია ასე დაჟინებით ცდილობს სააკაშვილი.

სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის სხვა გზა არც იცის — სინამდვილეში ის ავანტუ-

4 გვ. →

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ხალხის დაბოლება ანუ თამაშები არიფთა ტვინების გამოსარეცხად

ძვირფასო მკითხველებო, წინა ორ წერილში, ვფიქრობ, გასაგებად ავხსენი, თუ რა მეთოდებით ებრძვის დღევანდელ ხელისუფლებას, ბიძინა ივანიშვილს და სრულიად საქართველოს "ნაციონალური მოძრაობა", რომელიც ჯერ კიდევ 2012–2013 წლებში უნდა აკრძალულიყო, მაგრამ "ქართული ოცნებისა" და დასავლეთელი "მეგობრების" მეცადინეობით დღემდე გაჯეჯილებულია. ამჯერად მოგახსენებთ მეთოდზე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ "ხალხის დაბოლება", ან "დებილთა ცნობიერებაზე თამაში", ან "არიფთა ტვინის გამორეცხვა", ან სულაც "ქართველთა დეგრადაციის მცდელობა". როგორც გენებოთ, რომელიც გინდათ – ამოარჩიეთ, მე მაგალითებს მოგიყვანთ, ანალიზი თავადვე გააკეთეთ. ავიღოთ ბოლო სკანდალი, ფარული ვიდეოს თემა, რომელიც პარლამენტარ ეკა ბესელიას უკავშირდება. რა თქმა უნდა, მე არ მოვყვები, მსგავსი ვიდეოების გადაღების სპეციალისტი ვინ არის, წინა ხელისუფლების დროს როგორ იღებდნენ, რაში იყენებდნენ და ასე შემდეგ, ეს ყველამ ვიცით. როგორც კი ბესელიას გარშემო სკანდალი ხელახლა აგორდა, "ნაციონალებმაც" ეგრევე გაააქტიურეს თავიანთი ბოზბანდები და სოციალურ ქსელებში დაიწყეს "ქადაგება", რომ ამ ყველაფრის უკან დგას ბიძინა ივანიშვილი. დიახ, არც მეტი, არც ნაკლები, პირადად ბიძინა ივანიშვილი. მეტიც, ტელეკომპანია "ჭუტა პირველის" სტუდიაში შეყარეს დამპალი "ნაციონალები" ზვიად კუპრავას მეთაურობით და აყბედეს, ფარული ვიდეოები გადაღებულია ივანიშვილის დაკვეთით, ყველა ვიდეო ინახება მის სეიფში და როცა მოუნდება, თავადვე ავრცელებსო. აი, მეგობრებო, სადამდე მივიდა საქმე... აი, უკვე რამდენს ბედავენ სიბინძურის დამკვეთ-დამამზადებლები. არადა, საქმე საქმეზე რომ მიდგება ხოლმე, კუპრავა და მისი მსგავსი ავაზაკები აქეთ გიტევენ: აბა, დაგვიმტკიცეთ, რომ ამდენი სიბინძურე ჩვენ ჩავიდინეთ? თუ ჩავიდინეთ, რატომ არ გვიჭერთო?! მართლაც, რატომ არ დავიჭირეთ ავაზაკები? რატომ არ მივაბრძანეთ ციხეში ათასნაირი სიბინძურის ჩამდენნი, როცა ამას ითხოვდა პოლიტპატიმართა დიდი არმია? გაიხსენეთ, როგორი მრა-

ვალრიცხოვანი აქციები იმართებოდა 2013–2014 წლებში სპორტის სასახლეში. თუმცა მოგვიანებით ეს აქციები მოულოდნელად შეწყდა და პოლიტპატიმრებიც თითქოს სადღაც გაქრნენ. ვიმეორებ: რატომ არ მივაბრძანეთ ციხეში დამნაშავეები? ამაზე მე მაქვს ბიძინა ივანიშვილის ჰუმანური პასუხი – ნახევარ საქართველოს ხომ ვერ დავიჭერთ? ჩვენ უნდა ვეცადოთ, ეს ადამიანები გამოვასწოროთ, მოვაქციოთ და წესიერ მოქალაქეებად ვაქციოთ. მართლაც ჰუმანური მოსაზრებაა, ჩემმა მზემ, მაგრამ ფეხბურთში არსებობს კანონზომიერება: არ და ვერ გაიტან? მაშინ იქით გაგიტანენ. იგივე კანონზომიერება მოქმედებს ცხოვრებაში, უფრო მეტად კი დამნაშავეთა სამყაროში – არ დასჯი? რაოდენ მართალიც არ უნდა იყო, იქით დაგსჯიან. სხვათა შორის, არავინ დაისაჯაო, ვერც ამას ვიტყვით – მიხეილ სააკაშვილი გაქცეულია და უკვე ფსიქოლოგიური რყევები აქვს, ზურაბ ადეიშვილი უნგრეთში იმალება ვიღაცის საწოლის ქვეშ, მეგის ქარდავას უკრაინელი სამართალდამცავები დაათრევენ აქეთ-იქით, დათა ახალაია საბერძნეთის რომელიღაც კუნძულზე ბინადრობს რობინზონ კრუზოსავით, მისი ძმა ბაჩო წიგნებს წერს მატროსოვზე, ვანო მერაბიშვილიც მატროსოვზეა გამოკეტილი და ყოველი კვირის ბოლოს მოსთქვამს, წელი მტკივაო. დიახ, დასჯილები ნამდვილად არსებობენ, მაგრამ როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებას ეს ეცოტავება და რაც მთავარია, თავად "ნაცმოძრაობისთვის" ჭკუის სასწავლებლად არ აღმოჩნდა საკმარისი. საერთოდ, "ნაციონალები" ძალიან ჰგვანან ღორის ტილს, ფეხზე რომ დაისვამ და ნელ-ნელა თავზე აგაცოცდება.

"ნაცმოძრაობის" პროპაგანდისტული მანქანა კი არა... პროპაგანდისტული ჭაობი მუშაობს, რათა საზოგადოებაში დათესოს უიმედობა, ყველასადმი და ყველაფრისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება: არ გვინდა ჰესები! არ გვინდა პორტები! არ გვინდა, ხალხზე რომ ზრუნავს ვინმე და მილიარდობით ვალებს აწერს! არ გვინდა კანონები! არ გვინდა გზები! არ გვინდა დენი! არ გვინდა არაფერი, რადგან ყველა სფეროში ბიძინა ივანიშვილს აქვს წილი, მილიონები, მილიარდები მიაქვს სახლში, გვპარავს, გვაყაჩაღებს, გვარბევს, გვანგრევს, მიწასთან გვასწორებს! მეტიც, გვიღებს, გვითვალთვალებს, გვაშანტაჟებს, გვიქვეყნებს და მოკლედ, ამ კაცმა ცხოვრება ჯოჯოხეთად გვიქცია! დიახ, რაც 2012 წლამდე ნახეთ და მოისმინეთ, ეს იყო დადგმული, მოგონილი, არც 2007-ში ყოფილა დარბევა, არც 2011-ში, არც "იმედში" შევარდნილა ვინმე და ციხეებშიც სრული ჰარმონია სუფევდა! აი, ხომ ამდენი რაღაც ჩამოვთვალე უკუღმა, ხომ ამდენ თავიანთ გაკეთებულს აბრალებენ ივანიშვილს, ხომ ყველა დამეთანხმებით, რომ სისულელეა, ეს ადამიანი ყაჩაღად და ქვეყნის დამაქცევრად მონათლო? თქვენ წარმოიდგინეთ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მაინც სჯერა, რომ ეს ასეა. რატომ? იმიტომ, რომ საზოგადოების ისედაც გამოთაყვანებულ ნაწილს 24 საათის განმავლობაში ჩასჩიჩინებენ, რომ ყველაფერი არის ძალიან ცუდად, რომ ქვეყანა ინგრევა და აუცილებლად უნდა გავიქცეთ, გვშია, გვწყურია... აგერ, ნახეთ, მშიერი ხალხი ქუჩაში ყრია, ნაგვის ურნებთან რიგებია! მე არ ვამბობ, საქართველოში ყველაფერი იდეალურადაა-მეთქი, არა, პრობლემები თავზესაყრელი გვაქვს, მაგრამ თუ სიტუაცია უარესდება, მაშინ საიდან ამდენი ავტომობილი, თბილისში რომ აღარ ეტევა? სხვათა შორის, რეგიონებში, ანუ რაიონულ ცენტრებშიც იგივე მდგომარეობაა. მაშინ ამიხსენით, რატომ არ არის საღამოს რესტორნებში თუ ღამის კლუბებში ადგილი? ჰო, ამიხსენით, არ დამზოგოთ, თუ გნებავთ, გამაკრიტიკეთ, საიდან ამდენი მშენებლობები, სადაც ყველა ბინა წინასწარაა გაყიდული? ვიმეორებ: არის პრობლემები... პენსია არის სასაცილო, 400–500 ლარი მაინც უნდა იყოს ამ ეტაპზე, მაგრამ რატომ მიდის ყველა ისარი ბიძინა ივანიშვილისკენ? როდესაც მანქანით თბილისის ქუჩებში დავდივარ, ვხედავ, როგორ ისვრიან "ბიჩოკებს" მძღოლები საყვარელ დედაქალაქში და ამას, ალბათ, მარტო მე არ ვხედავ, თქვენც ხედავთ. ცუდია, როცა ქართველი ასე ექცევა საკუთარ ქალაქს, ხომ? დიახ, ძალიან ცუდია, მაგრამ ამასაც აქვს "ნაციონალური" ახსნა – ბიძინამ ისე გაანერვიულა მოსახლეობა, ისე უშლის ნერვებს, ქუჩებში "ბიჩოკებს" ისვრიან, რა ქნან, რა გააკეთონ, სავანაირად როგორ გააპროტესტონ? როდესაც ადამიანებს ტვინი ელუნებათ და ქვეყნის წაბილწვაზე ფიქრობენ, ყველანაირი საშუალება ამართლებს... მით უმეტეს მაშინ, როცა ამისთვის ნოყიერი ნიადაგი არსებობს. ნოყიერ ნიადაგში ჩვენს საზოგადოებას ვგულისხმობ, რომელსაც უმადურობა ლენცოფასავით მოსდებია. ოდესღაც ყველა გზა რომში მიდიოდა (ქართველებისა ხან ისპაჰანში მიდიოდა, ხან – რუსეთის ტრამალებისკენ), ახლა საქართველოს ყველა მოქალაქის გზა ბიძინა ივანიშვილისკენ მიდის, ოღონდ ეს გზა არ არის ჩვეულებრივი – ის ბოლმით და შურით გახლავთ მოპირკეთებული. "ნაციონალურმა სექტამ" 7 წლის განმავლობაში მიაღწია იმას, რომ ყველა შხამიანი ისარი ივანიშვილისკენ მიემართა. ამ მხრივ რეგიონებში უფრო რთულადაა საქმე. ვენახს ნაცარი გაუჩნდა და ხეირიანად არ მოისხა? – ეს ბიძინას ბრალია, რადგან მიშას დროს ასეთი რამ არ ხდებოდა. ამას წინებზე ერთი ახლობელი შემხვდა, მაღაზიიდან გამოვიდა, ცელოფანის პარკი გაჰხევნოდა, "ტავარი" მიწაზე დასცვივნოდა, ივანიშვილს ლანძღავდა, მიშას დროს პარკები არ იხეოდა, უფრო ხარისხიანი იყოო. რაღა დაგიმალოთ და

4 გვ. →

საბედისწერო ინერცია

2 გვ.

რისტი და ტერორისტია, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლამდეც და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც ისე იქცეოდა, როგორც ტერორისტი — მისი „მმართველობა“, თუ ამას მმართველობა ჰქვია, ეს იყო საკუთარი ხალხის წინაღმდეგ მიმართული სხვადასხვა მასშტაბის ტერორისტული აქტები, სადამსჯელო საეგზეკუციო ღონისძიებები და ა. შ.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან 2012 წლამდე, თითქმის 21 წელიწადი, საქართველოს სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებას დაპატრონებული არაკანონიერი, არალეგიტიმური დანაშაულებრივი ძალა მართავდა, რომლის დამარცხება არჩევნების გზით მხოლოდ 2012 წელს მოხერხდა, რაშიც უდიდესი წვლილი ბიძინა ივანიშვილს მიუძღვის.

2011 წელს, როცა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა, რამდენადაც ვიცი, მას ურჩევდნენ, არ დალოდებოდა არჩევნებს, ქუჩაში გამოეყვანა ხალხი და „ნაცმოძრაობა“ ერთბაშად, ერთი დარტყმით დაემთავრებინა.

ამის შანსი ნამდვილად არსებობდა — ბიძინა ივანიშვილის დაძახილზე ათი ათასები და ასი ათასები უყოყმანოდ გამოვიდოდნენ გარეთ და „ნაცმოძრაობას“ სხვა არაფერი დარჩებოდა გარდა გაქცევისა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ეს არ გააკეთა, რადგან ამით ის ნაწილობრივ იმეორებდა იმ გზას, რომლითაც სააკაშვილმა შევარდნაძის „ტახტიდან“ ჩამოგდება შესძლო.

უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ეს იქნებოდა იგივე სახელმწიფო გადატრიალება, რაზეც იდგა აქამდე არსებული ყველა ხელისუფლება.

ბიძინა ივანიშვილმა ერთადერთი სწორი გზა აირჩია — გზა არჩევნებისა, რითაც, ფაქტობრივად, დასაბამი დაუდო ასპარეზიდან იარაღის ძალით გაძევებული დემოკრატიის შემობრუნებას პოლიტიკურ პროცესებში.

ამის დავიწყება, ამის უპატივცემულობა, ამის დაუფასებლობა არ შეიძლება, ვინაიდან ქართული დემოკრატიის ისტორია, რეალურად, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან იწყება.

●

წინა კვირას, 10 თებერვალს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბელგიის ქალაქ ლიეჟში კვლავ უხმო ქართველებს, რათა ბიძინა ივანიშვილის დამარცხების და ხელისუფლებაში დაბრუნების ახალი გეგმა შეიმუშაონ.

ფაქტობრივად, ეს სახელმწიფო გადატრიალების ახალი გეგმაა, ოღონდ სახელი აქვს შეცვლილი და შერბილებული.

სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული დამნაშავე ძალების გაგრძელებაა, ამ ძალების სამართალმემკვიდრეა და ისინი ამ საბედისწერო ინერციას დამოუკიდებლად ვერასოდეს ვერ შეაჩერებენ, თუ მათ ამაში ქართული სამართალი არ დაეხმარა.

რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, საქართველოში ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს!

სხვანაირად ამ ქვეყანაში სიმშვიდე ვერასოდეს დაისადგურებს!

3 გვ.

ქართველთა დიდი ნაწილის მთავარი უბედურება მოკლე მეხსიერებაა — აშკარად გადახრა მოგვდგამს გენეტიკურად. გადახედეთ ჩვენს ისტორიას, ეს არის ღალატისა და უმადურობის ისტორია: ერეკლე მეორე გაწირეს და იძულებული გახდა, თავი რუსეთისთვის შეეფარებინა, ილია ჭავჭავაძეს შუბლი გაუხვრიტეს, ზვიად გამსახურდია სადღაც ტალახში ჩაკლეს და ამ ყველაფრის ჩამდენნი მთაწმინდაზე გვყვანან ასვენებულნი. ვინც ნამეტანი ქნა, ვინც ერთ ადგილას დაიმხო ქვეყანა, დიდუბის პანთეონში მოვათავსეთ დიდი პატივით. მე

ხალხის დაბოლება ანუ თამაშები არიფთა ტვინების გამოსარეცხად

დღეს ხშირად მეკითხებიან, ბიძინა ივანიშვილს რატომ არ ლანძღავო? დიახ, რატომ არ აკრიტიკებო კი არა, რატომ არ ლანძღავო? ესე იგი, ლანძღვა აუცილებელია. სხვათა შორის, მე არ ვლანძღავდი ზვიად გამსახურდიას, რადგან ის იყო მართალი კაცი, ეს დრომ უფრო დაამტკიცა და დღეს ისეთები "სპეკულიანტობენ" მისი სახელით, კუდში რომ მისდევდნენ მოსაკლავად. ერეკლე მეორის ეპოქას რომ მოვსწრებოდი, აუცილებლად ვიქნებოდი ერთ-ერთი მეზარბაზნე. ილია ჭავჭავაძის პერიოდში რომ მეცხოვრა, ალბათ მისი მისამართით გასროლილ ტყვიას ვერ შევაჩერებდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გული გამისკდებოდა. ზოგს ჰგონია, ილია ცამოწშენდილზე მოკლეს, ვიღაც უბედური გამოვარდა და გაისროლა. არა, ამ ყველაფერს წინ უძღვოდა სიტყვიერი ომი. რამდენიმე წლის წინ ტელეფონით დასავლეთ საქართველოდან დამიკავშირდა ერთი ახალგაზრდა კაცი, მე გიგლა ბერბიჭაშვილის მეგობრის შთამომავალი გახლავართო... დანამდვილებით ვიცი, როდესაც ბერბიჭაშვილმა ილიას ესროლა, ჩემი დიდი ბაბუაც იქ იყოო... ძალიან ვიტანჯები, ავად ვარ, წლებია არ მძინავს, მამაჩემს ვეუბნები, წავიდეთ ეკლესიაში, რამე ვიღონოთ, მოვინანიოთ, ეგებ ცოდვა მოგვეხსნასო... მამაჩემი ლოთობს, ფეხებზე ჰკიდია, არ მისმენსო... ოჯახის წევრები დამცინიანო... ჩვენ დაწყევლილები ვართ და მინდა, როგორმე ნორმალურ ცხოვრებას დავუბრუნდეთო. ეს ბიჭი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ იტანჯება, ბაბუის ნაჭამმა ტყემალმა კბილი მოსჭრა. მე არ ვიცი, ნამდვილად იყო მისი წინაპარი გიგლა ბერბიჭაშვილთან ერთად, შეიძლება ეს უბრალოდ მისი წარმოსახვაა, მაგრამ ისეთ დეტალებს ყვება, ძნელია, არ დაიჯერო. ეს ამბავი იმიტომ მოგიყვევით, რომ ვინც ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე ხელი მოაწერა, ყველა არის დაწყევლილი. უკაცრავად, ახლა კი რას მეუბნებით, ვინ უნდა ვლანძღო, რომელმაც სამება აგიშენათ? სადაც შედიხართ, ლოცულობთ, სანთელს ანთებთ, გამოდიხართ და იფურთხებით? ვინ ვლანძღო, 2 წლის განმავლობაში რომ გიხნათ-გითესათ და მერე მოსავლის აღებაც მოსთხოვეთ? ვინ, ვინ... 600 ათას ადამიანს ბანკის ვალები რომ ჩამოგაწერათ და ერთსაც არ გითქვამთ მადლობა? პირიქით, ბევრისგან გავიგე, ეგ ვალები ისედაც ჩამოწერილი იყოო. ბებიათქვენისამ, ვალები კი არა, თქვენ იყავით ცხოვრებაში ჩამოწერილები და არაფრის მაქნისები, ამ ადამიანმა კი კიდევ ერთხელ მოგცათ შანსი. ბიძინა ივანიშვილი ბუნებას ანადგურებს, ხეებს ძირკვავს, თავის ეზოში მიაქვსო, იფურთხება "რუსთავი 2" და ილანძღებიან "ნაციონალები". არადა, კაცი დენდროლოგიურ პარკს გიკეთებთ, ერთი ხის ნაცვლად ას ხეს რგავს... ვიცი, პარკის მშენებლობას რომ დაამთავრებს, იქ ჩემნაირები ვერ შეგასწრებენ, შეხვალთ, წამოიტრაკებით, გაიშხლართებით, მერე გამოხვალთ და ამშენებელს დაუწყებთ ლანძღვას. არ მიკვირს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ აქ, ამ ქვეყანაში არსაკიძეს მოაჭრეს მარჯვენა, რატომ კარგი აგიგიაო. დიახ, ჩვენ ის ხალხი ვართ, არსაკიძე რომ დავტოვეთ ხელის გარეშე!

მინდოდა, ამ თემაზე წერილების სერია ამით დამემთავრებინა, მაგრამ არ გამომდის, კიდევ დამრჩა სათქმელი მომდევნო ნომრისთვის.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ყურებითა და ყვ...ბით დაჭერილთა შესახებ

მთელი ეს 26 თუ 28 ათასი ფაილი სააკაშვილის ბრძანებით არის გადაღებული და, ცხადია, ამ კადრების ასლები დღესაც სააკაშვილს აქვს

შს მინისტრის **გიორგი გახარიას** განცხადებით, ერთ-ერთი პარლამენტარის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელების გამოძიების საქმეში შსს-სთან ერთად სხვა უწყებების რესურსიც არის ჩართული. გამოძიება გრძელდება, ეს პროცესი ტექნიკურად მარტივი არ არის, თუ საჭირო გახდა, პარტნიორებს ვთხოვთდახმარებას, რადგან კიბერდანაშაული საკმაოდ რთული გამოსაძიებელი დანაშაულია. მობილიზებულია შსს-სა და მეგობარი უწყებების რესურსი, რომ

უპირველეს მიზანს მივაღწიოთ, მივაგნოთ გავრცელების პირველ წყაროს. ეს იმდენად მძიმე დანაშაულია, რომ არანაირი სხვაობა არ იქნება გავრცელებას, პირველწყაროს და შენახვას შორის. როგორც კი დავუშვებთ კომპრომისს და გვექნება განსხვავებული მიდგომები ამ კუთხით, მსგავს დანაშაულთან ბრძოლა იქნება საკმაოდ რთული. გვესმის, რომ საკმაოდ მკაცრი ნაბიჯების გადადგმა მოგვიწია, მინისტრი გამავრცელებლების დაკავებას გულისხმობს, თუმცა იძულებული ვართ ეს გავაკეთოთ და ასე გავაგრძელებთო. ეს მართლაც რთულად გამოსაძიებელი საქმე რომ არის, მით უმეტეს პირველ წყაროზე გასვლასთან დაკავშირებით, როცა მტკიცებულებები განადგურებულია, იგულისხმება ათეულათასობით ფაილი, ამას პროფესიონალი პოლიციელები და იურისტებიც ადასტურებენ

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მშავანაძე.

პირველ რიგში იმას ვიტყვი, რომ შეიძლება მთავრობა, „ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილი არ მოგწონდეს, მაგრამ ბოლმამ ისე არ უნდა გაგაბოროტოს, რომ რეალური, ობიექტური განსჯის უნარი დაკარგო. ხალხი გაბოროტდა, თან ის ადამიანები გაბოროტდნენ, რომელთა უმეტესობაც ბიძინა ივანიშვილს ხოტბას და ქება-დიდებას ასხამდა. თურმე ფარული ვიდეოკადრები „ქართული ოცნების“ გავრცელებულია, ნიკა გვარამიამ კადრებში საერთოდ იმ მარკის მობილური ტელეფონი „აღმოაჩინა“, რომელიც თურმე ნაციონალების მმართველობის დროს არ იყო გამოშვებული, ე.ი ეგ კადრები ნაცებს არ გადაუღიათო. მე არ ვიცი როგორ „მოახერხა“ გვარამიამ ბუნდოვან კადრზე ტელეფონის მარკის და ნომრის „გაშიფვრა“ ნაცების „გასაპრავებლად“, საქმე იმაშია, რომ რაც დღეს ხდება, ეს მოქმედი ხელისუფლების ბრალია და რატომ. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში როდესაც მოვიდა და აღმოაჩინეს ის 26 თუ 28 ათასი ფაილი (ათობით კასრი სამეგრელოს სამალავებში), შს მაშინდელმა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაგვიბარა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ჟურნალისტები და გვაჩვენა ის ამაზრზენი კადრები. მაშინ ითქვა, რომ ეს ყველაფერი უნდა გამოძიებულიყო, დაიწყო კიდეც გამოძიება, პასუხისგებაში მიეცა ამ კადრების გადამღებები და ის გარეწრები, რომლებიც 20 ლარს იღებდა ადამიანების გაუპატიურებაში, მაგრამ დასავლეთის ზეწოლისა და იმ „ენჯეოშნიკების“ წიოკის შედეგად, რომელთა უმეტესობაც დღეს ხელისუფლებაში არიან, ჩუგოშვილის, ლომჯარიას და სხვათა სახით, გამოძიება აღარ გაგრძელდა. უფრო მეტიც, ის ფაილები, ანუ მტკიცებულებები გაანადგურეს. ესენი გაჰკიოდნენ ყველაზე მეტს, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **თომას ჰამერბერგი** იყო ჩამოსული და ერთ ხმაში გვიმტკიცებდნენ, ეს უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებებია, როგორ შეიძლება უკანონოდ მოპოვებული მასალების გამოყენება, თუ არ მოხდა ახლა ამ მასალების განადგურება, პრობლემები შეიქმნებაო. ეს იყო სრული აბსურდი, ამ ლოგიკით ადამიანი რაღაც ბოროტება, დანაშაულს რომ ჩაიდენს, უნდა ვაპატიოთ. ვიღაცა თუ შექმნის მსგავს ფაილებს, არ უნდა გამოვიძიოთ, რახან ეს უკანონოდ არის გაკეთებული? ვიმეორებ, ეს იყო სრული აბსურდი, სრული არანორმალურობა. როგორ უნდა გამოიძიონ დანაშაული, რომელიც კონკრეტულმა პიროვნებებმა ჩაიდინეს, დამკვეთმა და შემსრულებელმა, როცა მტკიცებულებებს ანადგურებ. ახლა ერთი ამბავი რომ აქვთ ატეხილი ფარულ კადრებს ავრცელებენო, განსაკუთრებით იმ კონტიგენტს, რომელსაც ყველაზე დიდი „წვლილი“ მიუძღვის, ეს მტკიცებულებები რომ განადგურდა, ვინ ავრცელებს როგორ დაადგენ, როცა კვალი გაანადგურე. ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ის 28.000 ფაილის ასლები არსებობს და სადღაც არის წაღებული და პირველ რიგში მიშა სააკაშვილს აქვს. გამავრცელებლებიც სწორედ მის გარშემო უნდა ვეძებოთ.

ახლა ის „ენჯეოშნიკები“, ჟურნალისტები და ა.შ., რომლებიც მაშინ ამ ფაილების განადგურებას ითხოვდნენ და გაანადგურებინეს კიდეც, ახლა მთავრობას ლანძღავენ, რატომ არ იჭერთ დამნაშავეებსო. რანაირად უნდა დაიჭირონ მთავარი დამნაშავეები, როცა მტკიცებულება განადგურებულია, არ ვიცი რანაირად უნდა იქნას გამოძიებული. ახლახანს ლაშა ნაცვლიშვილმა გვამცნო ათეულობით მილიონი დაიხარჯა ამ ფაილების გადაღებაზეო, ასეც იქნებოდა, ეხუმრებით ათასობით ფაილის გადაღებას. უნდა ყოფილიყვნენ ოპერატიული მუშაკები, ვიღაც „ჩანერგილები“ ობიექტი რომ შეეტყუებინათ და ა.შ. გადაღების შემდეგ, ამ გადაღებულების აღნუსხვა უნდა მომხდარიყო, ასე რომ, აქ მთელი სისტემა მუშაობდა, ასეულობით ადამიანი იყო დასაქმებული. დღეს ჩვენ სახეზე რა გვაქვს, სამეგრელოს საცავებიდან ამოღებული მასალების უმეტესობა განადგურებულია, სულ რამდენიმე კაცია პასუხისგებაში მიცემული, დანარჩენები სად არიან, კაცმა არ იცის, შეიძლება ისევ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობენ, ისევ ნაცმოძრაობის წევრები რომ იქნებიან, ვფიქრობ, ორი აზრი არ არსებობს. სააკაშვილი ევროპიდან კეკლუცობს, ჩემ დროს არ ხდებოდა ამ კადრების გავრცელებაო, რაში ჭირდებოდათ გავრცელება, დაიბარებდნენ სადაც ჯერ არს კონკრეტულ პიროვნებას, აგერ გვაქვს შენი „კომპრომატები“, თუ რაღაცას „იხტუნავებ“, მაშინვე გამოგიქვეყნებთო. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ, სანამ მმართველი პარტია ამ ლიბერასტი „ენჯეოების“ და საკუთარ რიგებში „ჩანერგილი“ სოროსის ლეკვების ჭკუაზე ივლის, კიდევ მოიტეხს კისერს. ეს ფაილები თავის დროზე რომ გამოძიებულიყო, კვალი თავად სააკაშვილამდე მივიდოდა, ჩვენ ხომ კარგად ვიცით, სააკაშვილის კარზე როგორ იკეთებდნენ „კარიერას“ ე.წ. პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მომღერალ-მოცეკვავეები თუ სხვა „ხელოვანნი“. სააკაშვილს ჰარამხანად ჰქონდა ქცეული ყველაფერი და როგორ წარმოგიდგენიათ, სააკაშვილის გარეშე მოხდებოდა ხსენებული ბინძური ფაილების შექმნა?!. ის 23.000 ფაილი იმას ნიშნავს, რომ მთელი პოლიტიკური სივრცეა დაშანტაჟებული. ასე რომ, მთელი პოლიტიკური სპექტრი, შოუბიზნესი თუ სხვა სფერო დაშანტაჟებულია, ბოდიში მომითხოვია და ყვ...ბით და ყურებით ყავს დაჭერილი სააკაშვილს ყველა, ეს იქნება მოსამართლეები, პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლები თუ სხვა ფიგურები. ვიდეო თუ აუდიოფაილების სრული ნუსხა ზუსტად სააკაშვილს და მის გუნდს აქვს, გამავრცელებლებიც თვითონ არიან. დააკვირდით, როგორც კი ვინმესთან დაეძაბება მმართველ ძალას ურთიერთობა, რაიმე აზრთა სხვადასხვაობა შეიქმნება, მაშინ ხდება ამ ე.წ. კომპრომატების გამოქვეყნება, რომ კონკრეტულმა პერსონამ თუ საზოგადოებამ იფიქროს, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილი ბინძური ხერხებით ებრძვის მოწინააღმდეგეებს“.

ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი თომას ჰამერბერგი, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთავრობის მრჩეველი გახლდათ სამართლებრივ და ადამიანის უფლებების საკითხებში, 2013 წლის ოქტომბერში ბრძანებდა: უმნიშვნელოვანესია არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, მთავრობამ არ უნდა დაუშვას ანგარიშსწორებაო. როგორ მოგწონთ ევროპელი უფლებადამცავის პოზიცია, თურმე პრემიერს პიროვნულად არ „ევასებოდა“ სააკაშვილი, თორემ ამ „ანგელოზ“ კაცთან როგორ შეიძლებოდა კოჰაბიტაცია არ შემდგარიყო? ჰერ ჰამერბერგ, მარტო ნაცებზე ვრცელდება უდანაშაულობის პრეზუმფცია, პანტაპუნტით რომ ყრიდნენ ნაცჯალათები ხალხს ციხეებში და მეორე დღესვე დამნაშავეებად აცხადებდნენ, სად იყო მაშინ ეგ თქვენი ნაქები პრეზუმფცია? ის ფაილებიც ზუსტად იმიტომ გაანადგურებინეს ხელისუფლებას ამ ქვეყნის მოღალატე „ენჯეოშნიკების“ დახმარებით, რომ ნაცების დამნაშავეობის აშკარა მტკიცებულებები არ ყოფილიყო. ისე „ქართულ ოცნებას“ ეს მაინც არ ამართლებს, სავალდებულო არ არის ყველაფერზე დაეთანხმო დასავლელ „მეგობარ-პარტნიორებს“, მით უმეტეს ქვეყნის საწინააღმდეგო საქმეში, როცა საკუთარი მოსახლეობის იმხელა მხარდაჭერა გაქვს, როგორიც 2012 წელს ჰქონდა ბიძინა ივანიშვილსა და მის გუნდს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24



ლალი ბერძენიშვილი:

ნაციონალების მიერ სკოლიდან გამოყრილი მასწავლებლები დღეს საზღვარგარეთ მომვლელებად მუშაობენ

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის საკომიტეტო მოსმენა გაიმართა. შეხვედრა ხმამაღალი გამონათქვამებისა და მწვავე დებატების ფონზე მიმდინარეობდა. საკომიტეტო მოსმენას ესწრებოდა საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის“ პრეზიდენტი ლალი ბერძენიშვილი, რომელიც საკაშვილის ხელისუფლებამ განათლების რეფორმის კრიტიკის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა. ხმაურიან საკომიტეტო მოსმენაზე განვითარებული მოვლენების

შესახებ „საერთო გაზეთს“ ლალი ბერძენიშვილი ესაუბრა:

— როგორც იცით, კომიტეტის სხდომაზე დღის წესრიგში იდგა ზუგდიდის მე-6 სკოლის საკითხის განხილვა. მინისტრმა გააკეთა განმარტებები და სკოლაში აღმოჩენილ დარღვევებზე ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ ია კერზაიას არ ვიცნობდი, მომხდარის გამო განსაკუთრებული გულისტკივილი მაქვს. ეს ქალბატონი სკოლას 12 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა და მე თუ არა, სხვამ ვინ იცის, როგორ მუხლჩაუხრელ შრომასთან არის დაკავშირებული სკოლის დირექტორობა. რაც შეეხება დასკვნაში ასახულ დარღვევებს, კანონის მიხედვით, სამინისტროს იმ დარღვევებიდან მხოლოდ ერთზეც კი შეეძლო დირექტორის გათავისუფლება, თუმცა, ეს არ გააკეთა და სამეურვეო საბჭოს თხოვა, რომ დირექტორისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი განეხილა. როგორც იცით, ამის შემდეგ ქალბატონ იას ინსულტი დაემართა

და მისი განთავისუფლება აღარ მომხდარა.

— სკოლის სამეურვეო საბჭო ინსპექტირების შედეგებს დაეთანხმა?

— დიახ, ინსპექტირების შედეგებს სკოლაც და სამეურვეო საბჭოც დაეთანხმა. 2018 წლის 30 ნოემბერს სკოლის სამეურვეო საბჭომ და დირექტორმა სამინისტროს წერილობით აცნობეს, რომ დარღვევების უმეტესობა გამოასწორა, რაც იმას ნიშნავს, რომ დარღვევები იყო, აბა რა გამოასწორეს? ამის შემდეგ სამინისტრომ სკოლას 1 თვის ვადა მისცა დარღვევების საბოლოოდ გამოსასწორებლად და ეს უბედური შემთხვევაც მოხდა. საკომიტეტო მოსმენაზე მინისტრმა ძალიან მკაფიოდ და დაწვრილებით ისაუბრა და ამის შემდეგ დაიწყო ნაციონალების შეურაცხმყოფელი გამოსვლები. კახიძემ მინისტრს მატყუარა უწოდა.. შემდეგ მას მიჰყვა კაპანაძე, რატიანი, გოგორიშვილი.. მოკლედ არ დააკლო არცერთმა.. დიდი სპექტაკლი დადგეს და ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს ტრაგედია მინისტრის გასანადგურებლად გამოეყენებინათ. ცდილობენ მიხეილ ბატიაშვილი მიიყვანონ იმ ზომამდე, რომ თანამდებობიდან გადადგეს და ამისკენ პირდაპირ მოუწოდებენ. ადამიანისთვის, რომელიც საკაშვილის ხელისუფლებამ სკოლას და საყვარელ საქმეს პოლიტიკური მოტივებით ჩამოაცილა, ამის ყურება განსაკუთრებით ძნელი იყო.

— თქვენ თუ მოგეცათ საუბრის საშუალება?

— ნაციონალების წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენიმე

სიტყვის თქმა მაინც მოვახერხე. ვუთხარი, რომ მათ არ აქვთ უფლება პოლიტიკური დევნაზე ისაუბრონ, რადგან ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდნენ და პოლიტიკურ რეპრესიებს ახორციელებდნენ. პირადად ჩემი დევნა 2004 წელს დაიწყო, როცა საკაშვილის ხელისუფლებამ განათლების ახალი კანონის პროექტი გამოაქვეყნა. ამ დროს, სკოლის დირექტორი გახლდით და კოლეგებთან და იურისტებთან ერთად, თბილისის დირექტორების შეკრება მოვაწყეთ, სადაც არგუმენტირებულად დავასაბუთეთ, თუ რა ზიანს მოუტანდა ახალი კანონი განათლების სისტემას და მთლიანად ქვეყანას. როგორც ხედავთ, დრომ ჩვენი ვარაუდები დაადასტურა, თუმცა, ამაზე სხვა დროს.. დირექტორების შეკრებები მთელი ზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა და პარალელურად, მე და ჩემი კოლეგები მედიას ინტერვიუებს ვაძლევდით. იმ დროს, განათლების რეფორმასთან დაპირისპირება თითქმის განაჩენის ტოლფასი იყო, ამიტომ 2005

წლის მარტში სკოლის დირექტორის თანამდებობიდან გამათავისუფლეს. ჩემთან ერთად, რამდენიმე სკოლის დირექტორი მოხსნეს. ჩემი თანამდებობიდან გათავისუფლება ისეთი უხეში კანონდარღვევით მოხდა, რომ მაშინვე სარჩელი შევიტანე და სასამართლომ ჩემი თანამდებობაზე დაუყოვნებლივ აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. 2005 წლის 18 ივლისის საღამოს, სამუშაო საათების დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, კახა ლომაიამ ჩემი აღდგენის ბრძანებას ხელი მოაწერა და 19 ივლისს, დილის 9 საათზე ახალი ბრძანებით გამათავისუფლა. ესეც არ მაკმარა და უკვე არარსებული სკოლის არარსებული დირექტორის თანამდებობიდან მომხსნა. რა არის ეს თუ არა პოლიტიკური დევნა? ასეც ვუთხარი — თქვენმა ხელისუფლებამ გამინადგურა პროფესია და 2 წლის განმავლობაში 3-ჯერ გამანთავისუფლა ერთი და იმავე თანამდებობიდან, თქვენივე სასამართლოებმა გამამართლეს და თანამდებობაზე აღდგენა გამოიტანეს, მაგრამ 2 სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეასრულეთ მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ ლომაია სტრასბურგამდე წამომყვა და იქაც უსინდისობა ჩაიდინა. როგორც გითხარით, ჩემთვის ადვილი არ არის ვისმინო პოლიტიკურ დევნაზე საუბრები ადამიანებისგან, რომლებიც 9 წლის განმავლობაშიმდევნიდნენ და იძულებული გამხადეს ქვეყნიდან წავსულიყავი. ნიკა მელიას ვუთხარი მიუხედავად იმისა რომ წარსულის გახსენება არ გიყვართ, ყოველთვის გაგახსენებთ თქო.

— როგორც ვიცი, ნიკა მელიამ არც თქვენი მისამართით დაიშურა კრიტიკული გამოთქმები..

— ნაციონალებს არაპოლიტიკური ადამიანისგან ალბათ იშვიათად მოუსმენიათ ასეთი კრიტიკა, ამიტომ დიდხანს არავის ამოუღია ხმა და ბოლოს მელია დამეტაკა — აი, თქვენ სპეციალურად მოყვანილი ხართო. მე ვუთხარი, თუ მართალი არ ვიყავი თქვენსავე სასამართლომ რატომ გამამართლა თქო. მერე სხვა დირექტორებს გადაწვდა, სპეციალურად მოყვანილები არიან და მათი მოსმენა არ გვინდაო. მართლა სპეციალურად მოყვანილებიც რომ ვყოფილიყავით, რა უფლება გაქვს არ მოისმინო, ჩვენ რა ამ საზოგადოების წევრები არ ვართ? მაგრამ ამ ადამიანებს განსხვავებული აზრის მოსმენა არ შეუძლიათ და სწორედ განსხვავებული აზრის გამოთქმისთვის განახორციელეს ჩვენზე რეპრესიები. შეხვედრაზე ისიც ვთქვი, როდესაც თქვენმა მინისტრმა სამჯერ გამათავისუფლა, სამჯერ გარდავიცვალე, ოღონდ ფიზიკურად გადავრჩი-თქო. **სააკაშვილის ხელისუფლებამ იცით, როგორი სკოლა დამინგრია? ევროპაში რომ იცნობდნენ და აფასებდნენ,** პროფესია წამართვა და ჩემს დღეში უამრავი ადამიანია. ნაციონალების მიერ სკოლიდან გამოყრილი მასწავლებლები დღეს საზღვარგარეთ მომვლელებად მუშაობენ, ზოგი საერთოდ, ნერვიულობას გადაყვა. ამიტომ განსაკუთრებით საწყენია, რომ დღეს მიხეილ ბატიაშვილის გვერდით არიან ადამიანები, რომლებმაც 2003 წლიდან მოყოლებული, გაანადგურეს განათლების სისტემა. თუნდაც მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე, რომელიც საკაშვილის ხელისუფლების დროს 6 წლის განმავლობაში სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი იყო. (4 წელი იყო ლომაიასთან და მერე 2 წლის განმავლობაშისამ სხვა მინისტრთან) მინისტრის გარშემო დღეს საკაშვილის აქტიური კადრები არიან, ამიტომ არც მათი მხრიდან საბოტაჟს გამოვრიცხავ. ნაციონალებმა დაინახეს, რომ ბოლო 15 წლის მანძილზე ასეთი მონდომებული და პროფესიონალი მინისტრი არ გვყოლია და ამიტომ უნდათ ამ ადამიანის მოშორება. ია კერზაიას ტრაგედია გამოიყენეს მექანიზმად და უნდათ, რომ ბატიაშვილს წასვლა აიძულონ, რომ ის გეგმები, რომლებიც წარმოადგინა, არ შესრულდეს.

პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა რამდენიმე დღის წინ განათლების მინისტრს ასე მიმართა: „დღეს ჩვენ განათლების სისტემაში გვყავს ადამიანები, რომელთაც პოლიტიკურ იარაღად იყენებდნენ წინა ხელისუფლებაში. ჩვენ შეიძლება ისინი შევაფასოთ სისტემის მსხვერპლებად, თუმცა განათლების სისტემა არის უაღრესად სენსიტიური სექტორი. იმისათვის, რომ გამოირიცხოს პოლიტიკური ინტერპრეტირების საშუალება, ჩემი რჩევა იქნება, და მე მოგმართავთ თხოვნით, გადახედოთ საკადრო პოლიტიკას ინსპექტირების სამსახურში, განათლების უწყებაში“.

ნელი თორდია
571 35 36 88

ბატონო ბაჩანა, ამ მიხეილს (ბატიაშვილს) რომ ეკითხებით მხოლოდ, იმ მიხეილს (სააკაშვილს) რატომ არ ჰკითხეთ, დედა ჰყავს თუ არა?

უკვე მერამდენე კვირაა, ფაქტობრივად, ღია სასამართლო პროცესი მიდის ქალბატონი ია კერზაიას გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებით.

მოხდა ძალიან სამწუხარო ფაქტი — გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, კარგი ადამიანი, და გამომდინარე აქედან, სულაც არ არის გასაკვირი მისი ახლობლების, საზოგადოების, გნებავთ, პოლიტიკური წრეების წარმომადგენლების ემოციური დამოკიდებულება ამ დრამატული ფაქტისადმი, თუმცა ამ პროცესებს რომ აკვირდები, შეიძლება მოგეჩვენოს, ზედმეტად პოლიტიზირებული, ზედმეტად ანგაჟირებული, ზედმეტად გაპიარებული და, რაც მთავარია, რაღაც ძალების მიერ მართული ხომ არ არის ეს ყველაფერი?

მწუხარება, ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი სხვა ადამიანების მხრიდანაც თანაგრძნობას, თანადგომას, რიდს და პატივისცემას უნდა იწვევდეს და ეს სრულიად ნორმალური, ღრმად ადამიანური გრძნობაა, მაგრამ შემზარავია, როცა სხვის მწუხარებას ისეთი ადამიანები მიეტმასნებიან, რომლებსაც სულაც არ სტკივათ და სულაც არ აწუხებთ ეს ამბავი, მაგრამ სხვის მწუხარებას პოლიტიკური ქულების დასაწერად, პოლიტიკური სპეკულაციის და ოპონენტებისთვის სხვადასხვა მძიმე ბრალდებების წასაყენებლად იყენებენ.

ასეთი საქციელი, პირველ რიგში, მიცვალებულის, მეორე რიგში კი მისი ჭირისუფლის უპატივცემულობა და შეურაცხყოფაა.

მიცვალებულებს არ შეუძლიათ თავი დაიცვან, ამიტომ მათ ნაცვლად ეს საქმე მათმა ჭირისუფლებმა უნდა გააკეთონ და მათ ტრაგედიას პირადი გამორჩენის მიზნით ადევნებული უღირსი და უზნეო ადამიანები ახლოს არ უნდა გააკარონ, თუმცა ზოგჯერ საპირისპირო რამ ხდება და ჭირისუფლები თვითონვე ხდებიან ამგვარი არამკითხე მოზარეების მარიონეტები.

ბოდიშის მოხდით, მისი მწუხარებისადმი ღრმა თანაგრძნობის გამოხატვით გვინდა შევკადროთ ბატონ ბაჩანა შენგელიას: ბატონო ბაჩანა, თქვენც ხომ არ მოექეცით ამ არაკეთილსინდისიერი ადამიანების გავლენის ქვეშ და თქვენს ტრაგედიას მომგებიან თემად და მასალად ხომ არ აყენებინებთ ამ ეგრეთწოდებულ ოპოზიციას?

ბოდიშს გიხდით, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ თქვენს საქციელს რომ ვადევნებთ თვალს, სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას არ გვიტოვებთ.

უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ცხონებული დედათქვენის გარდაცვალების ამბავი პოლიტიკურ თემად აქციეთ და ამ თემით პოლიტიკოსობთ იმ პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ.

თქვენ ამტკიცებთ, დედაჩემის გარდაცვალება განათლების სამინისტროში დაგეგმილი და განხორციელებული მკვლელობა იყო, დედაჩემი სისტემამ მოკლაო.

აი, ამ პოლიტიკური დასკვნის გაკეთება გინდათ თქვენ, აი, ამის მიღწევას ცდილობთ, რომ საზოგადოება დაარწმუნოთ: „ქართული ოცნება“ მკვლელი სისტემაა, რომელიც წესიერ და პატიოსან ადამიანებს კლავს.

შემთხვევით „ნაციონალი“ ხომ არ ბრძანდებით თქვენ, ბატონო ბაჩანა და მიათი სამრეკლოდან ხომ არ არისხებთ განგაშის ზარებს — ამ გულქვა და სადისტმა „ქართულმა ოცნებამ“ დედა მომიკლაო.

კი, ნამდვილად ნაციონალი ხართ, თქვენ, პატივცემულო ბაჩანა (ისე, გარეგნულად ნაციონალს არ ჰგავხართ), თორემ იმ სიტყვებს როგორ იტყოდით, კი, ბატონო, წინა ხელისუფლებასაც ჰქონდა შეცდომები, მაგრამ მე ვსაუბრობ კონკრეტულ ადამიანზე, რომელიც გარდაიცვალაო.

აჰ, თურმე რაში ყოფილა საქმე — წინა ხელისუფლებას შეცდომები ჰქონდა, ეს ხელისუფლება კი კლავს.

„ნაცმოძრაობის“ ფრაზეოლოგიაა ეს: კი, ბატონო, ვაღიარებთ, შეცდომებს ჩვენს ვუშვებდითო.

შეცდომებს კი არ უშვებდით თქვენ, ნაციონალებო, უამრავ საზარელ დანაშაულს, უამრავ ბოროტებას სჩადიოდით, დღეს რომ შეცდომად გინდა გადაღებოთ და ბაჩანა შენგელიაც კვერს გიკრავთ, რომელიც, მისივე თქმით, იმიტომ არის თეთრ პერანგში გამოწყობილი და იმიტომ არ ისვრის ქვებს, რომ თავის სახელმწიფოს პატივს სცემს.

ბატონ ბაჩანას ამით იმისი თქმა უნდა, რომ წესიერი და პატრიოტი მოქალაქეა, რომელიც ხელისუფლებებს კი არა, სახელმწიფოს ინტერესებს უწევს ანგარიშს.

თუ ეს ასეა, ბატონო ბაჩანა და თუ თქვენ მართლაც წესიერი და პატრიოტი მოქალაქე ხართ, სად იყავით და რატომ არ ამოიღეთ ხმა მაშინ, როცა ათასობით, ათიათასობით ღვაწლმოსილი ადამიანი — სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები, პროფესორები, მეცნიერები, რომლებმაც მთელი ცხოვრება ახალგაზრდების აღზრდას მოახმარეს, „ნაცმოძრაობამ“ ქუჩაში გაყარა და „ჩარეცხილებად“ გამოაცხადა.

ეს იყო ნამდვილი რეპრესიები, რომელმაც მრავალი ადამიანი მორალურად და ფიზიკურად გაანადგურა, თქვენ კი ხმა არ ამოგიღიათ, ბატონო ბაჩანა.

რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ ისინი სხვისი დედიკოები და მამიკოები იყვნენ, თქვენ კი, ოჯახიანად, აქეთ, მკვლელი და მოძალადე სისტემის მხარეს იდექით, მშვიდად და უსაფრთხოდ.

ამ მიხეილს (ბატიაშვილს) რომ ეკითხებით მხოლოდ, იმ მეორე მიხეილს, გვარად სააკაშვილს რატომ არ დაუსვით იგივე კითხვა: „თქვენ დედა გყავთ, ბატონო მიხეილ?“

დოქსოპულოებს სხვებს რომ ეძახით, დოქსოპულოების მხარეს დგახართ თქვენ, პატივცემულო ბაჩანა და ეს ამბავი რატომღაც სულ არ გეთაკილებათ.

გეთაკილებათ კი არა, მგონი, ამით თავი მოგწონთ კიდეც...

თქვენი მტკიცებით, დედათქვენს „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ მუშაობა ბევრჯერ შესთავაზეს, უარის შემდეგ კი სკოლიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ.

გამოდის, რომ სულგანათლებული დედათქვენის სიმპატიები უფრო „ნაცების“ კანდიდატის გრიგოლ ვაშაძისკენ იხრებოდა.

ერთი რამ არ გვესმის და იქნებ, თქვენ გაგვაგებინოთ, ბატონო ბაჩანა — როგორც და რანაირად ხდება, რომ განათლებული, ნაკითხი, ინფორმირებული ადამიანი, რომელმაც თავიდან ბოლომდე შესანიშნავად იცის, რა უმძიმესი და უსასტიკესი დანაშაულები აქვს ჩადენილი „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის განმავლობაში, მხარს მის მიერ წამოყენებულ კანდიდატს უჭერს?

ნაკლებად ინფორმირებული, ნაკლებად განათლებული და საქმეში ბოლომდე ჩაუხედავი ადამიანისგან, რომელიც ადვილად ექვემდებარება „ნაცმოძრაობის“ მიერ კარგად ათვისებული ტვინის გამორეცხვის პროცედურებს, შეიძლება ეს არ გაგიკვირდეს, მაგრამ განათლებული ადამიანი, ინტელიგენტი, როგორ და რანაირად, რა სინდისით და რა მორალით შეიძლება მკვლელების, სადისტების, მანიაკების, მძარცველების და ყაჩაღების მხარეს იდგეს?

ბატონი ბაჩანა თავის მრავალრიცხოვან გამოსვლებში ხშირად ახსენებს სიტყვა მორალს.

ამ ყოვლისდამტევი და დიადი სიტყვის მრავალგვარი და მრავალნაირი განმარტება არსებობს, მათ შორის კი ერთ-ერთი ყველაზე გენიალური და ზუსტი შეფასება დიდი პოეტისა და დიდი მოაზროვნის, ვაჟა-ფშაველას კალამს ეკუთვნის: „რაც უნდა ჭირი მამკერძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“.

უფრო კარგად ვერ იტყვი...

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ „საერთო გაზეთი“ აპირებს უახლოეს ნომრებში დაიწყოს მასალების გამოქვეყნება განათლების დარგში მომუშავე იმ ადამიანებზე, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მიერ განხორციელებულ რეპრესიებს ემსხვერპლნენ.

„საერთო გაზეთი“

მაწანწალა და შიზოფრენიკი სააკაშვილი რას ბოდავს, ეს კი არ არის საინტერესო. საინტერესო ის არის, რა ძალები დგანან მის უკან?

არ უნდა გავიკვირვოთ და არ უნდა გამოვიკვლიოთ, რუსეთის უშიშროების მაღალჩინოსანი კინაღამ საქართველოს პრეზიდენტი რომ გახდა?

„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა:

— ბატონო გოგა, სააკაშვილი ლიეჟში ემიგრანტებს შეხვდა, დასახა ალტერნატიული მთავრობების შექმნისა და საქართველოში დაბრუნების გეგმა. რამდენად სერიოზულია ეს მცდელობა?

— სააკაშვილი რას აპირებს, ეს პრობლემა საერთოდ არ არის, რადგან იგი მასხარა, მაწანწალა გახლავთ. მისი ქმედებები ნაკლებად ყურადსაღებია, უფრო საინტერესო ისაა თუ ვინ დგას მის უკან, ამ ყველაფერს ვინ აფინანსებს. ემიგრანტები საზღვარგარეთ გაჭირვებამ წაიყვანა და არ მგონია იმის ფუფუნება ჰქონდეთ ლიეჟში ისეირნონ და სასტუმროები ჯავშნონ. ამიტომ, ბუნებრივია, ეს მთლიანად დაფინანსებული ღონისძიებაა. აი, ეს არის საინტერესო და არა სააკაშვილის შიზოფრენია. ალტერნატიული მთავრობების შექმნა და ა.შ., ეს ხომ შიზოფრენიაა და მეტი არაფერი. ბუნებრივია, ამას სერიოზულად არავინ აღიქვამს. თუმცა, ფაქტია, მის ზურგს უკან ძალიან სერიოზული ძალა დგას, რომელიც ცდილობს საქართველოში დესტაბილიზაცია შემოიტანოს. ამ ძალის სახე გახლავთ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია, რომელიც ჩრდილშია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, იგი მართავს ამ პროცესებს და თუ ვისი დავალებით, ჩემი აზრით, ამის გარკვევა ძალიან მარტივია. ამის მშვენიერი მაგალითია მათ მიერ ხელდასმული საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე — რუსეთის უშიშროების თანამშრომელი. ვფიქრობ, აი ეს არის მნიშვნელოვანი და ყურადღება სწორედ ამაზე უნდა გამახვილდეს. სამწუხაროდ, ამ საკითხზე არც არავინ წერს და არც არავინ ლაპარაკობს. შეაყარე კედელს ცერცვიო — ასე გამოდის. ქართულმა პრესამ ანალიზის უნარი დაკარგა, ბუნებრივია, ყველას არ ვგულისხმობ. პრესა, დღეს, გამონაკლისების გარდა, ყოველდღიურობას, სკანდალს, ცილისწამებას, ფეიკ-ნიუსებს არის აყოლილი და აღარ გააჩნია იმის უნარი, რომ საზოგადოებამდე სერიოზული პრობლემები მიიტანოს. სინამდვილეში, მსჯელობა უნდა მიდიოდეს იმ თემაზე, მთავარ პრობლემაზე — რას აპირებს რუსეთი საქართველოში და როგორ ცდილობს დესტაბილიზაციის გამოწვევას. მადლობა ღმერთს, სააკაშვილის იქეთ, სხვა სერიოზული ფიგურა ვერ უპოვიათ, თუმცა, საქართველოში რუსული იდეების მხარდაჭერის ნაკლებობა არ არის. მაგალითად, „ევროპული

საქართველო“ რომელსაც ევროპულობაზე, პრო-დასავლურობაზე აქვს პრეტენზია, საპრეზიდენტო არჩევნებში გრიგოლ ვაშაძეს უჭერდა მხარს, არადა მშვენივრად იცოდა, რომ იგი საბჭოთა უშიშროების დამსმენი და თანამშრომელია. ეს იციან, მაგრამ ძალაუფლებისკენ იმდენად ავადმყოფური ლტოლვა აქვთ, რომ ეშმაკსაც შეეკვრებიან.ე.წ. ეშმაკი, აქვე, ხურვალეთში კოშკურებს დგამს, საზღვარს ავლებს. ეს საზღვარიც სააკაშვილის, ბოკერიას და იმ ადამიანების მონიშნულია, რომლებიც თავის დროზე „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენდნენ, ახლა კი ზოგმა რა დაირქვა და ზოგმა — რა. ჩემი აზრით, აი, ამ ძალიან მნიშვნელოვან თემაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება და არა ტაკიმასხარა სააკაშვილზე. აი, ეს არის პრობლემა, მთავარი თემა, სხვა დანარჩენი ჩემთვის ინტერესს არ წარმოადგენს. ლიეჟში რამდენიმე გაუბედურებული ქალბატონი გაჰკიოდა: სააკაშვილის გულისთვის ყველაფერს გავაკეთებთო. ეს ოჯახური პრობლემაა, როცა ამ ასაკის ქალბატონებს სხვა საქმე არ აქვთ და ამ მაწანწალას წინ და უკან დაჰყვებიან.

— მოდით, თქვენს მიერ წამოწეულ მთავარ პრობლემაზე ვისაუბროთ. სააკაშვილი თავისუფლად გადაადგილდება ქვეყნიდან ქვეყანაში, არღვევს ევროპულ კანონებს და ა.შ. როგორ ფიქრობთ, რა ძალები დგანან ამის უკან?

— ყველაზე მნიშვნელოვანი, სერიოზული და სახიფათო ძალა რუსეთია. სწორედ იგი დგას ამ ყველაფრის უკან. ამაში ორი აზრი არ არსებობს მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ თემურ ალასანიას ფაქტორს და მეორე მხრივ, გრიგოლ ვაშაძეს. სააკაშვილი თავად რას წარმოადგენს, ესეც ყველამ კარგად ვიცით. იგი უშიშროების სამჭედლოდან გამოსული კაცია. სააკაშვილი და მისი ბიძა საბჭოთა კავშირის უშიშროების სამჭედლოში გაიზარდნენ, ვგულისხმობ, მოსკოვისა და კიევის დიპლომატიურ აკადემიებს. სააკაშვილი, მერე, უშიშროების ჯარში მსახურობდა. ყოფილი უშიშროების თანამშრომლები არ არსებობენ, არამედ ეს სამუდამოა. აქვეა, ვაშაძეც, რომელიც 1976-დან 1981 წლამდე მოსკოვის დიპლომატიურ აკადემიაში სწავლობდა. იგი, დღესაც, ამ ბნელ დაწესებულებას მშვიდობისა და თავისუფლების კუნძულს ეძახის. საბჭოთა დიპლომატია გარდა უშიშროების სპეცსამსახურებისა, სხვა არაფერი ყოფილა. მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, რომელსაც საქართველოსა და უკრაინაში დესტაბილიზაცია აინტერესებდეს. ორივეგან დესტაბილიზაციის წყაროდ სააკაშვილი გვევლინება. ამიტომ, აქ პასუხი ნათელია — ეს არის რუსული ინტერესი. სხვა საქმეა რამდენად სერიოზულად აქვს ათვისებული რუსულ ინტერესებს როგორც ევროპული, ისე ამერიკული პოლიტიკური სივრცე. ვფიქრობ, ის მოვლენები რისი მომსწრენიც ამერიკაში გავხდით — ამ ქვეყნის არჩევნები მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთს მსოფლიოს პოლიტიკურ ორგანიზმში თავისი საცეცები საკმაოდ სერიოზულად აქვს გაშვებული. გავიხსენოთ, ინგლისში სკრიპალების საქმე. გარდა ამისა, შვედეთში, პოლონეთშიც გაისმა ხმები იმის შესახებ, რომ არჩევნებში რუსეთის ჩარევა ხდება. აღარაფერს ვამბობ იმ სამხედრო აქტივობებზე, რომელიც რუსეთის მხრიდან მსოფლიოს არაერთ კუთხეში მიმდინარეობს. ასე, რომ ეს რეალობაა. როგორც წესი, ამისთვის გამოიყენება ანგაჟირებული, სულგაყიდული დიპლომატები და სხვადასხვა მისიების, ორგანიზაციების წარმომადგენლები. მაგალითად, „ევროპის სახალხო პარტია“, რომელიც ევროკავშირში, ევროპარლამენტში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია. შარშან, როგორც აღმოჩნდა ამ პარტიის 28 წევრი კორუფციაშია იყო ჩართული, რაც პირდაპირ, რუსეთთან იყო დაკავშირებული. ამის გამო ევროპის საპარლამენტო ასსამბლეის პრეზიდენტი პედრო არგამონტი იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა. ეს დიდი სკანდალი იყო. სწორედ ამ პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პოლონელი პოლიტიკური მოღვაწე ერთ-ერთი იყო, ვინც სააკაშვილს, პრაქტიკულად, ხელი ჰკრა და უკრაინაში შეაგდო, აბსოლუტურად, უკანონო გზით. ამაზე არავითარი რეაქცია არ ყოფილა. „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრები, თითქმის, ყველგან და ყოველთვის ლობირებენ სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს ერთი. მეორეც, ფსევდო-ლიბერალურმა ძალამ, რომელიც ევროპაშია, პრაქტიკულად, კატასტროფამდე მიიყვანა ევროპა. ხომ ხედავთ, რა ხდება იგივე, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, საბერძნეთში. ეს ფსევდო-ლიბერალური ძალები დაინტერესებულნი არიან გარკვეული ფიგურების დახმარებით, სხვადასხვა ქვეყნებში, თავიანთი გავლენები მოიპოვონ. ასეთი ძალები არის ალბათ, აშშ-ში, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლორა თორნტონი, რომელიც გაუთავებლად სიცრუით კვებავს როგორც ქართულ საზოგადოებას, ისე თავის ხელმძღვანელობას აშშ-ში. მაგრამ ქართული საზოგადოება ამას აღარ ჭამს. იგი აშშ-ს, აბსოლუტურად, აბსურდულ მონაცემებს აწვდის იმის შესახებ თუ როგორი პოლიტიკური ვითარებაა საქართველოში — ვინ არის პრიორიტეტი ქართული საზოგადოებისთვის, რომელი პოლიტიკური მოღვაწე რას წარმოადგენს და ა.შ. ავიღოთ, დავით ბაქრაძე. როცა წლების განმავლობაში ცდილობ იგი პოლიტიკურ ფიგურად წარმოაჩინო, მერე კი აღმოჩნდება, რომ მას მისი ოჯახის წევრებიც კი არ აძლევენ არჩევნებზე ხმას, ეს წესით, ძალიან დიდი სირცხვილი უნდა იყოს, მაგრამ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. ასეთი ძალები ბევრია. თუ ვისი ხელით მოქმედებენ ისინი, ვინ დგას მათ ზურგს უკან — აი, ეს არის ყველაზე საინტერესო, რაზეც გამოძიება უნდა ჩატარდეს. დარწმუნებული ვარ, ნებსით თუ უნებლიედ, ისინი აქაც და ევროპაშიც ნამდვილად რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან.

— არადა, საპრეზიდენტო არჩევნების დროს რუსეთის აგენტობა სალომე ზურაბიშვილს დააბრალეს.

— ნუ, ეს ცალკე თემაა. დიახ, აქ, რუსეთის უშიშროებამ, სკლიაროვის თამადობით, დესანტი გადმოსხა, რომელმაც, პრაქტიკულად, თავგზა აუბნია როგორც ქართულ საზოგადოებას, ისე პრესის დიდ ნაწილს. პრესის წარმომადგენლების გარკვეული ნაწილი იმდენად უმწიფარი, უცოდინარი და გაუნათლებელი ადამიანები არიან, რომ მათთვის თავგზის აბნევას დიდი ოსტატობა სულაც არ სჭირდება. მით უმეტეს, როცა თავგზაამბნევების ასეთი მნიშვნელოვანი და სერიოზული ჯგუფი ჩამოდის. მათ იმდენი მოახერხეს, რომ რუსეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი — გრიგოლ ვაშაძე პატრიოტი, ევროპული სულისკვეთების მატარებელ კაცად გამოიყვანეს, ხოლო მართლა ევროპული სულისკვეთების, ევროპული მომავლის პროდუქტი — სალომე ზურაბიშვილი რუსეთის მხარდამჭერად შერაცხეს და მოღალატეს ეძახდნენ. ამას ხომ მოხერხება უნდა. პირველ რიგში, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოება მოტყუვდა. თვალების დაბრმავებას მოწადინება უნდა, ეს ასე მარტივად არ გამოდის. ყველამ ვიცით, ვინ არის სალომე ზურაბიშვილი, ისიც ყველამ მშვენივრად ვიცი ვინ არის გრიგოლ ვაშაძე. თუ დაგვავიწყდა, შეგახსენებთ: ომის დროს, როცა გრიგოლ ვაშაძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ამავდროულად, რუსეთის მოქალაქე გახლდათ და რუსული პასპორტი ძლივს გააგდებინეს ხელიდან, ახლაც შენახული აქვს. ასეთი პრეცედენტი მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს — ადამიანი იმ ქვეყნის მოქალაქე იყოს, რომელ-

თანაც შეიარაღებული კონფლიქტი აქვს და რომლის აგრესიის ქვეშაც სახელმწიფო იმყოფება. თუ არ გინდა სიმართლეს თვალებში ჩახედო, რეალურად დაინახო რა ხდება შენს გარშემო, მაშინ ლიეჟში სააკაშვილის მხარდასაჭერად წახვალ. რაში გამოადგა საქართველოს ვაშაძე და სააკაშვილი კარგად ჩანს ხურვალეთში. მოდით, ამაზე დავფიქრდეთ.

— ბატონო გოგა, თქვენ, რახანია საუბრობთ, რომ ვაშაძეს რუსეთის აგენტობას დაუმტკიცებთ, თუმცა, ამას ყურადღებას არავინ აქცევს. პრობლემა, ალბათ, ისიც არის — როგორ მოხდა რომ საქართველოში რუსეთის აგენტს ამდენმა ადამიანმა დაუჭირა მხარი?

— ვინ უნდა გააკეთოს ეს? — რა თქმა უნდა, წამყვანმა საინფორმაციო დაწესებულებებმა. ხოდა, ვინმეს აინტერესებს ეს საკითხი?! მერამდენედ ვიძახი, ხმამაღლა ვაცხადებ რასაც წარმოადგენს სინამდვილეში ვაშაძე. დავიჯერო, ჩემს მეტი ვაშაძის ბიოგრაფია არავის წაუკითხავს? რა ხდება? რაღა შორს წავიდე, ამ თემაზე „ქართული ოცნების“ დეპუტატებისგანაც სიტყვა არ გამიგია. ამ საკითხზე, რაზეც მე ვლაპარაკობ, ქართული პოლიტიკური ძალისგან ერთი კომენტარიც არ მომისმენია. განდიდების მანია ნამდვილად არ მჭირს, მაგრამ 30 წელია ამ ორომტრიალში ვარ, ორგზის დეპუტატი, ორგზის სახელმწიფო მინისტრი გახლავართ და ასე თუ ისე ვიცი, რა ხდება ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე. როცა ასეთი წარსულისა და აწმყოს მქონე ადამიანი მსგავს განცხადებებს ვაკეთებ, მინიმალური ყურადღება მაინც ხომ უნდა მომაქციო. თუ ამ საკითხს მაინც უყურადღებოდ ტოვებ, მერე, აღარ უნდა გაგიკვირდეს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში იმ შედეგებს ღებულობ, რაც მივიღეთ. ხმამაღლა ვაცხადებ: გრიგოლ ვაშაძე არის დამსმენი, უშიშროების სამსახურის თანამშრომელი და ბუნებრივია, მის უკან ვინც დგას, შენ კი მაინც არ გეყურება, სწორედ ამიტომ ღებულობ პირველ ტურში ასეთ შედეგს. ჩაიარა პირველმა ტურმა და მაინც არავის კომენტარი არ ისმის. ვაცხადებ: იგი გახლავთ რუსეთის უშიშროების თანამშრომელი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კინაღამ გაგვიპრეზიდენტეს. თუ ამას ახლა მაინც მივაქცევთ ყურადღებას, კარგი იქნება თუ არადა მაშინ სულ იმ ვითარებაში ვიქნებით, რაშიც ვართ.

— ასე არხეინად თუ ვიქენით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ გამარჯვებისთვის მეტი ენთუზიაზმით იბრძოლებს.

— დიახ. ვითომ, ოპოზიციურმა ძალებმა ვაშაძე ლიდერად დაიყენეს. ეს რას ნიშნავს?! მთელი ოპოზიციური სპექტრი მზად არის და თანახმაა რუსეთის უშიშროების თანამშრომელი საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდეს? იქნებ, ამ ხალხს დაუსვათ კითხვები, სხვაგვარად, როგორ უნდა ვიცხოვროთ, გამაგებინეთ?

— ვაშაძემ ლიეჟში ყოფნისას განაცხადა: შევრცხვით როგორც სახელმწიფოო.

— რა თქმა უნდა, სწორი თქვა ოღონდ, შემდეგი გაგებით: ბუნებრივია, შევრცხვით იმიტომ, რომ საკაშვილის გარშემო ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა, ჩვენი ქვეყნისთვის, ნამდვილად სირცხვილია. ვაშაძე რომ საქართველოს წარმოადგენს და მისი სახელით ლაპარაკობს, ესეც დიდი სირცხვილია. სწორად აღნიშნა, რომ შევრცხვი თ. ეს თვითაღიარებები ხშირად მოსდით-ხოლმე იმიტომ, რომ ავიწყდებათ რომელ მომენტში რა ენაზე უნდა ილაპარაკონ.

— მან ასევე ახსენა: ქვეყანას შავი ჭირი შეეყარა და ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ ამ სენისგანო.

— ვაშაძესთვის, რა თქმა უნდა, საქართველო შავი ჭირია. მისი საწყისი, გული და სული როგორც თავად ინტერვიუში განაცხადა რუსეთია თავისი კულტურით, წარსულით. იგი, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის დაშლას დარდობდა. ამიტომ, ბუნებრივია, რაც აქ ხდება, ეს, მისთვისაც და საკაშვილისთვისაც შავი ჭირია.

— ბატონო გოგა, „რუსთავი-2“, „ნაციონალები“, ენ-ჯეი-ოები აპოკალიფსურ სურათს ხატავენ, თითქოს, ქვეყანა ინგრევა და ერთადერთი გადამრჩენები თავად არიან. ამაზე რას იტყვით?

— ქართულ ანდაზას შეგახსენებთ: მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო. მათაც ასე სჭირთ, რაც თქვენ ბრძანეთ: უნდათ ყველაფერი ისე იყოს — საქართველოში აპოკალიფსი ელანდებათ, რეალურად კი, ასე არ ხდება და ამაზე არიან გაგიჟებულნი. გვარამია რომ მედიის წარმომადგენელი იქნება, რაღაზე ვილაპარაკო. პრობლემის სათავე იცით რაშია: როდესაც გვარამია სახალხოდ ილანძღება, იგინება, მანდილოსანს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს და ამაზე პოლიტიკური მიზანშეუწონლობის გამო, რეაქცია არ არის, აი, ამას მოჰყვება ის რაც მოჰყვება. ამიტომ, კანონი უნდა კანონობდეს და პოლიტიკაზე მაღლა იდგეს თუკი, ჩვენ, გვინდა, რომ რაიმე წარმატებას მივაღწიოთ. ეს ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის წესია. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუ თქვენ გიგაურს, „საიას“ და მათ მსგავსთ გულისხმობთ, ისინი არასამთავრობო ორგანიზაციები კი არა, გავლენის ჯგუფებია, რომლებიც უცხოეთიდან ძალიან სერიოზულად ფინანსდებიან იმისთვის, რომ საქართველოში გავლენები მოიპოვონ და მერე, ასე ვთქვათ, ქართული სახელმწიფო და ხელისუფლება იმ ფულისგადამხდელების ჭკუაზე ატარონ. ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. ამიტომ არის, რომ მიუხედავად უამრავი უწესობის, უმსგავსობის ჩადენისა, ეს ფიგურები მაინც ტივტივებენ. სამწუხაროდ, საკაშვილიც ტივტივებს, ეს ბიოლოგიური პროცესია. მაგრამ არსებობს რეალობა, რომელსაც საზოგადოებამ თვალი უნდა გაუსწოროს. საბოლოო ჯამში, ამ ქვეყნის ბედს ქართველი ხალხი წყვეტს და არა უცხოური ფონდები თუ სახელმწიფოები, ან მოძალადეები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მუხლებზე დაყენებას ცდილობენ. ეს არ გამოუვათ. ასეთი რამ მტრებს საუკუნეების მანძილზე არ გამოსვლიათ, საქართველო მაინც არსებობს, გადარჩა, დამოუკიდებელი ქვეყანაა. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანას ძალიან საინტერესო პერსპექტივები გააჩნია.

— ქვეყნის ბედს ქართველი ხალხი წყვეტსო — ახსენეთ. რა როლი აკისრია დღევანდელ სამოქალაქო საზოგადოებას?

— მისი ერთადერთი როლი არჩევნებზე მისვლა და სწორი არჩევანის გაკეთებაა. სხვა დანარჩენი, ვფიქრობ, ამ საზოგადოებას არ აკლია. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურზე აჩვენა ხალხმა რა შეუძლია: როგორც კი ქართული საზოგადოება მიხვდა, რომ შესაძლოა „ნაციონალები“ უკან დაბრუნებულიყვნენ მაშინვე აბსოლუტურად ცალსახად და სწორად იმოქმედა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქართული საზოგადოება — ეს ორგანიზმი ცოცხლობს, ფიქრობს, მოქმედებს, რაც მისასალმებელია. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ისეთ ვითარებაში ხდება, როდესაც კრიზისამდე მიდის მდგომარეობა. ვფიქრობ, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, სწორი შეფასება მიეცეს. პირველ რიგში, ეს მართლაც იმ შავ ჭირს ეხება, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი განშტოებებით წარმოადგენს. ეს არის კრიმინალების გაერთიანება, რომელმაც ქვეყანას და ცალკეულ მოქალაქეებს უამრავი უბედურება მოუტანა. ამაზე პასუხის მოთხოვნა ძალიან

მნიშვნელოვანი იყო, რაც სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხდა — იმიტომ, რომ ამის უფლება ჩვენი ქვეყნის გარეთ არსებულმა ბნელმა ძალებმა არ მოგვცეს. თუმცა, ვფიქრობ, სამართალი ურმით, მაგრამ მაინც დადის. სამწუხაროდ, ადამიანები, რომელთაც საქართველოში უმძიმესი დანაშაულებები ჩაიდინეს და ძებნილნი არიან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილდებიან, ანუ, იქ, სადაც ცივილიზაციაზე პრეტენზია გააჩნიათ. თუმცა, იმ ფონზე რაც ამ ქვეყნებში ხდება, როდესაც კრიმინალები და ტერორისტები ბოგინობენ, გასაკვირი აღარაფერია. თუკი კრიმინალი საკაშვილისთვის შეიძლება შეუზღუდავად ევროპაში და ამერიკაში მოძრაობა, ამავე გზით ივლიან სხვა კრიმინალებიც, რომლებიც ბევრად უფრო საშიშნი არიან. ევროპა რასაც თესავს, იმას იმკის. ჩვენთვის ეს კრიმინალ საკაშვილშია განსახიერებული.

— ბატონო გოგა, წელან „ნაციონალების“ მიერ აპოკალიფსური სურათის დახატვაზე ვისაუბრეთ. ისინი შევარდნაძის დროსაც იგივეს აკეთებდნენ, გაიძახოდნენ, რომ ქვეყანა იღუპება.

— შევარდნაძის დროს ნუ გავიხსენებთ: მაშინდელი და ახლანდელი საქართველოს შედარება არ შეიძლება, მაშინ კორუფციის წუმპეში ვიყავით. ამ კორუფციის მონაწილეები იყვნენ ეს ე.წ. რეფორმატორები და ასე ააწყვეს თავისი კეთილდღეობა.

— ის დრო იმიტომ გავიხსენე, რომ მაშინ იმის ძახილით, რომ შევარდნაძე ქვეყანას ანგრევს, საქმე „ვარდების რევოლუციამდე“ მიიყვანეს. ახლა, ამბობენ, რომ ივანიშვილი უქადის ქვეყანას განადგურებას. მსგავს რამეს ახლაც ხომ არ გეგმავენ? რა საფრთხე არსებობს ამ კუთხით?

— რა თქმა უნდა, გეგმავენ, მანერა, ხელწერაც იგივე აქვთ, ისინი არ შეცვლილან. მაშინ ისეთი დრო იყო, პრაქტიკულად, ჭაობი გვქონდა და არა სახელმწიფო. დღეს, როგორც ქვეყნის შიგნით ისე გარეთ, სხვა ვითარებაა. ამიტომ, ბუნებრივია ის პრიმიტიული ხერხები, რითაც მაშინ საკაშვილი ფონს გავიდა, აღარ იმუშავებს.

— საკაშვილი ღიად საუბრობს სახელმწიფო გადატრიალებაზე. ეს ხომ კანონით დასჯადია. მასზე რატომ არ ვრცელდება ეს კანონი?

— ეგ ჰოლანდიის მთავრობას უნდა ჰკითხოთ იმიტომ, რომ მას იქ აქვს თავშესაფარი. საერთოდ, ეს კითხვა ევროპული ქვეყნის წარმომადგენლებს უნდა დაუსვათ. რატომ უშვებენ იმას, რაც მათ ქვეყანაში დაუშვებელია. რამდენად განხორციელებადია რასაც საკაშვილი გეგმავს, სხვა საქმეა, მაგრამ რეალურად კითხვები ჩნდება. იმიტომ არის ევროპა ასეთ დღეში, რომ ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. რასაც საკაშვილი აკეთებს, ეს ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა. საკაშვილი საქართველოში უკვე დასჯილია, მას ამა თუ იმ საკმაოდ მძიმე დანაშაულებისთვის განაჩენი გამოტანილი აქვს. იგი კანონიერად არის აქ გასამართლებული, მაგრამ ევროპა ამას არ ითვალისწინებს. გადმოგვცენ, ბატონო, და იმ ადგილს მიუზღავთ, რასაც ქართველი ხალხისგან იმსახურებს. ევროპელები საკაშვილის გადმოცემაზე უარს აცხადებენ, რაც აბსოლუტურად, გაუგებარია.

— წელან, ახსენეთ: ქართული საზოგადოების ვალია სწორი არჩევანი გააკეთოსო. რატომ ვაგვიანებთ სწორი არჩევანის გაკეთებას. ვგულისხმობ, თუნდაც იმას, რამაც პირველი ტურის შედეგამდე მიგვიყვანა?

— ვფიქრობ, პოლიტიკური გაუთვითცნობიერებლობის გამო. გარდა ამისა, ამის შედეგია თავისუფალი, წესიერი, მართალი პრესის არარსებობა. ძალიან ცოტაა საინფორმაციო წყარო, რომელიც სიმართლეს ლაპარაკობს, კარგ ანალიზს აკეთებს. ამას ემატება განათლების პრობლემებიც. ასევე, ნაკლებად გვაქვს პოლიტიკური გამოცდილება, ნუ დაგვავიწყდება, რომ უმძიმესი 25 წელი გავიარეთ. თუმცა, ეს მოქალაქეებს არ უხსნის პასუხისმგებლობას საკუთარი შვილების მომავალზე იფიქრონ. ამიტომ, როცა რაღაც გადაწყვეტილებას იღებ და ხმას ვაშაძეს აძლევ იმის გამო, რომ თურმე კობახიძე ან კალაძე არ მოგწონს, უნდა დაფიქრდე რას მოუტანს ეს არჩევანი შენს შვილებს, მომავალს. პირველ ტურში საბედისწერო შეცდომა იქნა დაშვებული. სხვათა შორის, იგივე მოხდა მეორე ტურშიც — ამომრჩევლების 40%-მა, ანუ 700 ათასამდე ადამიანმა საქართველოს ხელისუფლების სათავეში საბჭოთა უშიშროების ოფიცრის მოყვანა მოინდომა. ანუ, იმ ადამიანებმა ვინც ამავდროულად გაჰყვირიან — ძირს რუსული ოკუპაციაო. ეს ერთმანეთთან თანხვედრაში როგორ არის, აბსოლუტურად, გაუგებარია. თუ რუსული ოკუპაცია არ მოგწონს, რუსეთის კაცი პრეზიდენტად რატომ მოგყავს, გაუგებარია. გავიგოთ, რომ პრიორიტეტი ქვეყნის მომავალი უნდა იყოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ევროკავშირს ბზარი გაუჩნდა?

სამყაროში დღეს პოლიტიკური სიტუაცია ელვისებურ ცვლილებებს განიცდის. დროდადრო მოვლენები უკიდურესად იძაბება არამხოლოდ განვითარებად, არამედ დიდ ქვეყნებშიც კი როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკაშიც. უკვე ორი წელია, რაც დონალდ ტრამპი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანამდებობაზეა, თუმცა შიდა წინააღმდეგობები ჯერ კიდევ ვერ დაძლია. შარშანდელი შუალედური არჩევნების შემდეგ კონგრესთან ურთიერთობა კიდევ უფრო გაურთულდა, რადგან უმრავლესობაში მისი მოწინააღმდეგე დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები არიან. თუმცა უნდა ითქვას, რომ არც წინა შემადგენლობა წყალობდა, სადაც უმრავლესობაში რესპუბლიკელები იყვნენ. ამის დასტურად წლის ბოლოს ქვეყნის ბიუჯეტის ჩავარდნასაც გავიხსენებთ. ამის მიზეზი კი მექსიკის საზღვარზე კედლის მშენებლობის დაუფინანსებლობა გახდა, რამაც შათდაუნი

(აღმასრულებელი ხელისუფლების დაფინანსების შეჩერება) გამოიწვია. შათდაუნი 35 დღე გაგრძელდა, რაც აშშ-ის ისტორიაში რეკორდული დროა.

ბიუჯეტის დაუმტკიცებლობამ მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია აშშ-ში. პრეზიდენტის ტრადიციული გამოსვლა კონგრესის წინაშე ორჯერ გადაიდო და სათუოც კი გახდა. დონალდ ტრამპი იძულებული გახდა, ბიუჯეტის პროექტისთვის მოეწერა ხელი. თუმცა დაიმუქრა, თუ კონგრესი კედლის მშენებლობისთვის თანხას არ გამოყოფს, 15 თებერვლიდან შათდაუნი განახლდებაო.

გასულ კვირას დონალდ ტრამპი, როგორც იქნა, კონგრესის წინაშე მოხსენებით წარსგდა. მისი გამოსვლა თითქმის საათ-ნახევარი გრძელდებოდა. დემოკრატები უემოციოდ, მოვალეობის მოხდის გამო უსმენდნენ. ტრამპმა, ძირითადად, მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. საშუალო და მცირე რადიუსის მოქმედების რაკეტების განადგურების ხელშეკრულებიდან გასვლა იძულებით ნაბიჯად შეაფასა. თუმცა მოლაპარაკებების განახლებასაც არ გამოურიცხავს, სადაც ჩინეთიც იქნება ჩართული. ამასთან, სავაჭრო ომში ჩვენ გავიმარჯვებთო, განაცხადა. სირიიდან და ავღანეთიდან დაანონსებული ჯარების გაყვანა იმით ახსნა, რომ ქვეყანა, ხალხი დაიღალა უაზრო ომებით და იქვე განმარტა, ახლო აღმოსავლეთიდან არ გავდივართ, სირიიდან ჯარს ერაყში გადავიყვანთ და, საჭიროების შემთხვევაში, უმალ დავბრუნდებითო.

დონალდ ტრამპმა ქვეყნის წინსვლის ხელისშემშლელ მიზეზად სულელური ომები, უაზრო გამოძიებები (იგულისხმა მის წინააღმდეგ პროკურორ მიულერის ჯგუფის მუშაობა) დაასახელა. აუცილებლად მიიჩნია შეიარაღებული ძალების დაფინანსების გაზრდა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ავღანეთიდან და სირიიდან ჯარების გაყვანა ტრამპისთვის უმტკივნეულოდ არ ჩაივლისო. დეკემბერში, ტრამპის განცხადებისთანავე, სირიიდან ჯარს გავიყვანთო, თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მეტისმა (მეტსახელად „ცოფიანი ძაღლი“) პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა. კონგრესში ტრამპის გამოსვლა დემოკრატებმა კრიტიკულად შეაფასეს. „იგი თავს იმართლებდა, გვარწმუნებდა, ყველაფერი კარგად არისო, მაგრამ პირიქითაა საქმე“, — განაცხადა კონგრესმენმა ნენსი ჰეილიმ. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ ტრამპმა უკვე დაიწყო მზადება 2020 წლის არჩევნებისთვის. მათივე შეფასებით, ჯერ კიდევ არ განელებულა სამოქალაქო ომის საფრთხე, რადგან აშშ-ში რთული, მღვრიე პოლიტიკური სიტუაციაა.

სამხრეთ ამერიკა, კერძოდ, ვენესუელა, კვლავ რჩება მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. გასულ კვირას კანადაში „ლიმას ჯგუფის“ შეკრება გაიმართა ხუან გუაიდოს მხარდასაჭერად. მათ ვენესუელის არმიას მოუწოდეს, მხარი ოპოზიციას დაუჭირონ.

უფრო წარმომადგენლობითი იყო ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში გამართული ვენესუელის კრიზისის მოგვარების საკონტაქტო ჯგუფის შეკრება. შეხვედრაში კარიბის ზღვის 14 ქვეყნის, მასპინძლების, აშშ-ისა და ევროკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. „ლიმას ჯგუფისგან“ განსხვავებით, ურუგვაუის შეკრება გაცილებით ნაყოფიერი გამოდგა. შეკრების მონაწილეები კრიზისის მოგვარების გზად დიალოგს მიიჩნევენ. „...მთელი რეგიონისთვის აუცილებელია ვენესუელაში მშვიდობის და სტაბილურობის დამყარება ყოველგვარი სამხედრო მოქმედებების გარეშე, დიალოგის გზით“, — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა ფედერიკო მოგერინიმ. თუმცა მას აშშ-ის წარმომადგენელი ელიოტ აბრამსი არ ეთანხმება. მისი განცხადებით, ვენესუელის კრიზისი დიალოგის გზით არ მოგვარდება, აბრამსმა მადუროს ქვეყნიდან წასვლაც კი ურჩია.

მონტევიდეოში საკონტაქტო ჯგუფის აზრს დაეთანხმა ვენესუელის მოქედი პრეზიდენტი ნიკოლას მადურო. მისი განცხადებით, ის მზად არის, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს საკონტაქტო ჯგუფისა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ამის გარდა, მადურომ ორ მილიონზე მეტ თანამოქალაქესთან ერთად ხელი მოაწერა ტრამპისთვის გაგზავნილ წერილს, კატეგორიული მოთხოვნით, ნუ ერევიან ვენესუელის შინაურ საქმეებში.

ხუან გუაიდო, მადუროსგან განსხვავებით, მომხრეა ვენესუელაში უცხო ქვეყნის ჯარების შეყვანის. მისი თქმით, სხვაგვარად ხელისუფლებას ვერ შეცვლის. აშშ-ის წარმომადგენლებს პირდაპირი კავშირი აქვთ ვენესუელის სამხედრო მოსამსახურეებთან და აქტიურად მოუწოდებენ მათ, მხარი გუაიდოს დაუჭირონ. თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. დონალდ ტრამპის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი მოკავშირე ქვეყნებს მოუწოდებს, არ შეისყიდონ ნავთობი ვენესუელისგან, ან თანხა გუაიდოსთვის ხელმისწვდომ ანგარიშზე ჩარიცხონ.

პოლიტიკური სიტუაცია „ბერი ქალბატონის“ კონტინენტზე დაძაბული თუ არა, შეიძლება ითქვას, არავანსაღია. ჯერ ერთი თვეც არ გასულა, რაც საფრანგეთ-გერმანიას შორის ფართომასშტაბიანი ხელშეკრულება გაფორმდა. ეს ენაკვიმატმა ჟურნალისტებმა „ქორწინებად“ შერაცხეს. გასულ კვირას ორ ქვეყანას შორის ვითარება დაიძაბა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა უარი განაცხადა გერმანელებისთვის მხარი დაეჭირა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ისთვის. ამასთან, მაკრონმა უარი თქვა გერმანიაში მიუნხენის ტრადიციულ სამშვიდობო კონფერენციაში

მონაწილეობაზე. ჟურნალისტებმა კვლავ იხუმრეს: „თაფლობის თვე არ დასრულებულა, ისე გაიყარენო“. თუმცა ფრანგებმა ტონი მალევე შეცვალეს. გერმანული პრესის ინფორმაციით, ე.წ. „ყვითელი ჟილეტების“ ორთვიანი აქციების გამო მაკრონს სავარძელი შეერყა და ცდილობს, ან ნაბიჯით საერთაშორისო საზოგადოების, განსაკუთრებით აშშ-ის მხარდაჭერა მოიპოვოს. თუმცა მაკრონის ამგვარმა ნაბიჯმა ყველა ქვეყანა გააოცა. იმასაც ამბობენ, მაკრონს სურდა ეჩვენებინა, რომ ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევია.

გერმანული პრესა იუწყება, რომ „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის მშენებლობის წინააღმდეგები ძირითადად აშშ და უკრაინაა. უკრაინელები დაკარგავენ გაზის ტრანზიტიდან შემოსავალს, აშშ-ს კი სურს, თავისი ფიქლის გაზის გასაღება ევროპულ ბაზარზე. მათივე ინფორმაციით, გერმანელი ბიზნესმენები არ აპირებენ, შეაჩერონ გაზსადენის მშენებლობა, რომლის პირველი შტო უკვე წლის ბოლოს უნდა ამოქმედდეს. ამასთან, მშენებლობის შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ყოფილა. სავარაუდოდ, ამიტომაც კვლავ შეცვალა პოზიცია მაკრონმა და დათანხმდა, მხარი დაუჭიროს „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ს. თუმცა, არის სხვა მიზეზიც.

ჯერ კიდევ 10 წლის წინ არავინ დაიჯერებდა, რომ საფრანგეთისა და იტალიას შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბებოდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ორი ქვეყანა შერიგდა. ევროკავშირშიც უნისონში თანამშრომლობდნენ. თუმცა, გასულ კვირას საფრანგეთის მხარემ იტალიიდან ელჩი გაიწვია. მიზეზი იტალიის ვიცე-პრემიერმინისტრის ლუიჯი დი მარიოს ფრანგი „ყვითელი ჟილეტების“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გახდა. ფრანგებმა ეს ქმედება პროვოკაციად შეაფასეს. „ეს ზურგში დანის ჩარტყმის ტოლფასიაო“, — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა იტალიაში. როგორც ირკვევა, დი მარიომ „ყვითელ ჟილეტებს“ მოუწოდა, უკან არ დაიხიონ. გავრცელდა ერთობლივი ფოტო „ყვითელ ჟილეტებთან“. ორივე ქვეყანაში საელჩოები განსაკუთრებული დაცვის ქვეშ არიან. არ გამორიცხავენ, რომ ფრანგებმა შური იძიონ. რითი დასრულდება ევროკავშირის სამი დიდი ქვეყნის დაპირისპირება, უცნობია. ასევე უცნობია, წავა თუ არა მაკრონი მიუნხენის კონფერენციაზე. მიმომხილველების ნაწილი თვლის, რომ ევროკავშირს ბზარი გაუჩნდა. ვნახოთ, დაინგრევა ევროსახლი თუ მის გამაგრებას შეძლებენ...

გია ბურდული
551 71 27 07

რა დროშა მოგცათ მიშამა?!

მართლაცდა, რა „დროშა“ მოგცათ მიშამ, ამისთანა, რომ ვერ ივიწყებთ?!

ხომ იფრიალეთ დროშამოხურულებმა შუაგულ ევროპაში საარაკო ყრილობაზე?!

როგორც ლიეჟიდან შეამტყობინეს, ნერვული აღგზნებისგან სააკაშვილი მსოფლიოს ნაცთა შეკრების წინა ღამეს ორჯერ ჩავარდნილა ემოციონალურ შოკში და სულ „ადე“ (ზურაბ ადეიშვილი) და უდელი ვანო მომიყვანეთო, ლუღლუღებდა თურმე. მერე დამამშვიდებლები გაუკეთებიათ, ცოტა კოკაინი უყნოსებიათ და ასე ჩასძინებია ქრონიკული სახელისუფლებო ენებისგან დაღლილს.

სამაგიეროდ, არ იღლებიან „ლუკმა-პურის საშოვნელად“ საქართველოდან ათეული წლების წინ გადახვეწილი ქართველების ნაწილი და შემოწირულობებსაც აგროვებენ თურმე სააკაშვილის დასახმარებლად და ახალი მთავრობის დასაფინანსებლად.

სააკაშვილი და მისი ახალი მთავრობა დაგვაბრუნებს საქართველოშიო და ამ იდეით შექმნილი მოძრაობისთვის ბელადთან შეთანხმებით „ერთად სახლში“ დაურქმევიათ.

ცოდვა გამხელილი ჯობია, იმ ემიგრანტებიდან ძალიან ცოტაა ისეთი, საქართველოში დაბრუნება მართლა რომ უნდოდეს. მათ მშვენივრად იციან, საქართველოში სიტუაცია რამდენიმე ათეული წელი კიდევ რომ არ დალაგდება იმ ევროპული ქვეყნების დონეზე, სადაც თვითონ ცხოვრობენ და უცხოობაში გადატანილი გაჭირვების მიუხედავად, აწყობილი ქვეყნებიდან არეულ, გაჭირვებულ საქართველოში დაბრუნება მათი მხრიდან მხოლოდ რიტორიკაა და სხვა არაფერი.

რაც შეეხება სააკაშვილს, მას, ცხადია, მოსწყინდა მშიერ-ბაძანგალა ძაღლივით გარე-გარე ხეტიალი და სურს ისევ მოაჯდეს საქართველოს გაძვალტყავებულ ბიუჯეტს, აღმართოს ბანჯგვლიანი მარჯვენა და ამას მოკვლა-იმას ჩამოხრჩობაო, დასჭექოს.

ახლა კი ეკონომიურად ძალიან მიჭირსო და ისევ ქართველების ოფლით ნაშოვნ ფულს სძალავს თურმე და ურცხვად იტენის ჯიბეში...

პოლიტიკურად გარყვნილი კაცია მიშა სააკაშვილი.

ფულისთვის და ძალაუფლებისთვის ყველაფრის მკადრებელი და მკისრებელი.

ძალაუფლებამ და ფულმა დაიმონა და იმიტომ.

პატარა კაცია და იმიტომ.

ხან საქართველოზე გულდათუთქული ვარო, ყვიროდა, ხან უკრაინის გადამრჩენად მოჰქონდა თავი. საქართველოში ხომ თქვლიფა ერთ ჭამაზე ათობით კატლეტი და ლიტრობით კაიმაღი, ხომ იშლიგინა გიჟივით მეტრიანი ნაბიჯებით.

მერე რა ცირკებიც ჩაატარა უკრანაში, ყველამ ვნახეთ.

საქართველოს პატრიოტი რომ ყოფილიყო, უკრაინელი პოლიტიკოსი ვარო, არ იხვიხვინებდა რადაში და კიევში სახლის სახურავიდან არ გამოფენდა შეშინებულ სიფათს და ჩასვრილ შარვალს...

ახლა პოლიტიკურად რომ სულ მთლად გაკოტრდა, ალტერნატიული ვირეშმაკობა მოიგონა და აიყოლია ბრიყვები, კლიმაქსიანი ქალები, ავანტურისტები და არამზადები.

ქართული კაზანტიპის პატრიარქი გიორგი სიგუა, კენტავრივით რომაა — დილას მიშას მტერი როა ვითომ და საღამოს მისი მეგობარი, აი, ის სიგუა ყოფილა ამ ახალი პოლიტიკურ მოტივებზე შედგენილი აფერის სულისჩამდგმელი, თავად აფერისტი და ავანტურისტი.

ზურაბ ავალიშვილი

მიშა და სიგუა ბოლო-ბოლო ჩაეხუტნენ ერთმანეთს.

ყოველთვის ვხედავდი მათში მსგავსებას.

ქართველებს კი, კიდევ კარგი, იუმორის გრძნობა შეგვრჩა.

როგორც ჩანს, ლიეჟისკენ მიმავალმა, გზად, ელისეის მინდვრებიდან, ერთმა ნაცქალბატონმა ფეისბუკზე რეპლიკა ისროლა: აბა, ვის გინდათ სანდრა კვლავ საქართველოს პირველი ლედი იყოსო? რაზეც ერთმა ფეისბუკ-მომხმარებელმა შეშფოთებულმა იკითხა: ხალხოო, სანდრას ზურაბიშვილს ურიგებენო?!

იცინეთ თქვენ და, უიმედოა ჩვენი მდგომარეობა. ქვეყნის შიგნით აჯაფსანდალია: ვინ სექსკადრებს ავრცელებს და ვინ ახლებს იღებს, კაცმა არ იცის. ქვეყნის გარედან კი ისევ ქართველები გეგმავენ ვერაგობას საქართველოსთვის.

— ჩირგვებში რომ იმალებოდა ყურდაცქვეტილი ბოცვერა, ბოცო წიკლაური ლიეჟში ჩაბრძანებულა, ამერიკელ მოხუცებს რომ პამპერსებს უცვლის კობა სუბელიანი, სანამ მოხუცების მომვლელი გახდებოდა მანამდე მინისტრი რომ იყო საქართველოში და მანქანის ნომრად მაკკეინი რომ დააწერა, აი, ისიც იქ ყოფილა, თურმე, დათა ახალაია და გია უდესიანიც ლიეჟში მიემგზავრებოდნენო და გზაში დაიჭირესო...

აქეთ დარეჯან დეიდა, ცხვიტარია, ფეხებს აბაკუნებს — ვუშველოთ საქართველოს, მიშას ვენაცვალეო!!.

მართლაცდა, რა დროშა მოგცათ მიშამა?

ეს დროშა „დიდია“.

ლიეჟში მთელ დარბაზში ჰქონიათ გადაფენილი სკამებზე, ჰა, ჰა, სამასი-ოთხასი მიშისტის მეტისთვის რომ ვერ მოუყრიათ თავი...

დარეჯან ცხვიტარია

საქართველოში ხომ გაყო და გახლიჩა ერი და საზოგადოება, ახლა საზღვარგარეთ წასული ემიგრანტები გადაჰკიდა ერთმანეთს ამ მართლა გიჟ-პროვოკატორმა.

რა ცუდია, რომ ბევრი ვერ ხვდება, მიშას საქართველო და ქართველი ხალხი კი არა, საკუთარი ფაშფაშა სტომაქი რომ აინტერესებს მარტო და ეს ბევრჯერ დაამტკიცა — როცა პრეზიდენტობისას საკუთარ მოქალაქეებს ხოცავდა ქუჩებში, ჩააბარა დალის ხეობა, ცხინვალის რეგიონის დიდი ნაწილი და ძირძველ ქართულ სოფლებს ქვების გროვა უწოდა, გაზით გუდავდა მომიტინგეებს და ათას უბედურებას ჩადიოდა.

ლიეჟშიც უცდია მის დამქაშს, სააკაშვილის ყოფილ ზონდერს, ნაცების მმართველობის დროს თანამემამულეების დამბრბევს, ვინმე ზურაბ ავალიშვილს ქართველების მოწამვლა — წიწაკის გაზი შეუსხამს სახეში იმ ემიგრანტებისთვის, ვინც მიშას არ შეჰღაღადებდა.

შევარდნაძე ვერ ისვენებს ალბათ საფლავში, ეს არამზადა რომ შემოგვაჩეჩა და ამ დღეში ჩაგვყარა.

ხალხს ვერაფერს გამოაპარებ.

ხალხმა ყველაფერი იცის.

სოციალურ ქსელში ამასწინათ ნაპოვნი ხალხური ლექსი ზუსტად გამოხატავს ჩვენი მოსახლეობის განწყობას და თქვენც მინდა გაგიზიაროთ:

ვაზის ძირი გაიჩეხა,
კაცი ქალად გადაიქცა,
ყველა მხრიდან ჩამოგვაჭრეს,
აქეთ ზღვა და იქეთ — მიწა.
ფაროსანამ თავისი ქნა,
ჭირმა ჭამა ქათამ-გოჭი,
ვინც არიეთ ეს ქვეყანა,
თქვენ მო@@@@
დედის @@@..

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ჯამბაზები ტყემლის ხეზე

პოლიტიკური ნოველა
(დაწერილია რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით)

გუბაზი ხვნეშით შეგორდა აქუს სტუდიაში, სავარძელი მიითრია და ასევე ხვნეშით ჩაგორდა. აქუმ ოპერატორს ანიშნა, ჯერ არ ჩართოო. ოპერატორმა მხრები აიჩეჩა, უკვე დროა, ტაშტიდან ფეხები ამოიღე და „გრელკა“ დამალეო. აქუმ ხელი ჩაიქნია, ტაშტი ისედაც არ ჩანს, თბილი წყალი მსიამოვნებს, იყოს, „გრელკას“ კიდე ყვერებქვემოდან ამოვიღებო.

— ჰა, დავიწყოთ, ბატონო ჯამბაზ? — ამოიკვნესა აქუმ.

— რავი, დავიწყოთ, დავით ბატონო... ნახე, რა თქვა ბიძინამ? — ჩაიქირქილა გუბაზმა.

— კი, ეს დიდი ტრაგედიაა საბჭოთა საქართველოსთვის, ეს „ოცნების“ კანტორა კიდე სასწაულ რაღაცებს შვრება... ისე, მე თუ მკითხავ, ღვედის შეკვრა საერთოდ არ არი საჭირო, აღარაფერს ვამბობ გზების დახაზვაზე და შუქნიშნებზე... რა, ღვედის შეკვრა სავალდებულო როცა არ იყო, ტროცკი, მოლოტოვი და ბუხარინი ვერ მოძრაობდნენ? რა მაგის პასუხია, ბატონო ჯამბაზ, მილიონი იშოვეთ თუ ისევ ჯიბეგახვრეტილი მომადექით აქა?

— ვერა, ვერ ვიშოვე... პრინციპში, ვიშოვე რა, არ მომცა იმან!

— ვინ იმან, ივანიშვილმა?

— „ვსიო“, უნდა ჩავრთო! — ყვირის ოპერატორი.

— ჯერ არ ჩაგირთავს, შე იდიოტო? ამდენი ტყუილად ვილაპარაკეთ?! — აღელდა აქუ, — ჰოდა, მოგესალმებით ძვირფასო ტელემაყურებლებო, დღეს ჩვენი გადაცემის სტუმარი გახლავთ ჯამბაზ სანიკიძე... მამამისი ცნობილი მწერალი იყო, მან დაწერა „ქარქაშიანი ხმლები“ და „ქართველთა 309 სირცხვილი“, ბატონი ლევანი ცოცხალი რომ ყოფილიყო, 409 სირცხვილზე იქნებოდა უკვე ასული. ბატონო ჯამბაზ, მოდით, ვისაუბროთ ამ თემებზე და ზოგადად შევეხოთ ღვედებსაც, აღარაფერს ვამბობ „ტეხასმოტრზე“ და მეორად საბურავებზე.

— მოგესალმებით, მეგობრებო... აბა, რა გეგონათ, ბატონო დავით? რა იცის ახლა ბიძინამ, ვინ არი თამარ მეფე?! — ამოიგმინა გუბაზმა და ტელევიზორიდან ბუღასავით გამოიხედა.

— უი, მართლა არ იცის? — შეხტასავით აქუ და მაგიდის ქვეშ წყალი გაუჭყაპუნდა.

— არ იცის, კაცო, იქ არ ვიყავი?!

— აბა, მაგას არც ტროცკი და ბუხარინი ეცოდინება!

— არ იცის, მე მეკითხებოდა ხოლმე, მოლოტოვის კოქტეილი რა არიო? აი, ეს რომ მკითხა პირველად, მაშინ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი იქ არ იყო!

— და ეგრევე რატო არ წამოხვედით?

— კარგი, რა... ენას, მამულს და სარწმუნოებას უპატრონოდ ხომ არ დავტოვებდი?!

— კაი, ბატონო ჯამბაზ, ეხლა რეკლამაზე გამიშვით, თორემ დავიხოცებით შიმშილით. აი, სახლში რომ მივდივარ ხოლმე, ნინა სულ მეჩხუბება, რეკლამაზე გასვლას რეიზა აგვიანებო? ვერა და ვერ ვისწავლე, კაცო, დროულად გასვლა, შეიძლება ამის გამო ოჯახი დამენგრას, ბიძინას რომ მოეცა ორი-სამი მილიონი, ამ დღეში არ ვიქნებოდი და არც ნავთლუღში ვივლიდი ოხრახუშისა და ქინძის საყიდლად!

— ჰოდა, ეგ არი, რააა, ჩემთვის რომ მოეცა მილიონი, იქიდან რაღაცას გიწილადებდი და „ჯანგო“ აღარ გაახურებდა... წამოწვებოდი მხართეძოზე და რეკლამაზე მაშინ გახვიდოდი, როცა გაგახსენდებოდა.

— ჩემო ჯამბაზ, ამას წინებზე სოსო ცინცაძემ კონიაკი მომიტანა, თითო ჭიქა ხომ არ ჩავარტყათო? გადაატრიალა თვალები აქუმ. ჩავარტყათ, მაგის დედაცო, მიუგო გუბაზმა და ხელები მოიფშვნიტა, უფრო გახსნილი ინტერვიუ გამოგვივაო.

— ბიჭო, მანდ სადღაც ჭიქები უნდა იყოს, მოძებნე, სანამ ეთერში გაგვიშვებ! — გასძახა აქუმ ოპერატორს, რომელმაც ჭიქები ეგრევე მოარბენინა.

— მოდი, სადღეგრძელოს მე ვიტყვი... აქ სადღეგრძელო ვინ უნდა თქვას, თუ არა მე?! — აგუგუნდა გუბაზი.

— მეც ეგრე ვფიქრობ, ჩემო ჯამბაზ... სხვათა შორის, ვალერი გელბახიანმაც კაი სადღეგრძელოები იცის ხოლმე, როცა ეგ ლაპარაკობს, სულ მიქოიანი მახსენდება.

— ჩვენ გაგვიმარჯოს, ამ ქვეყნის ლომებს... მართალია, ბიძინა არ გვაფასებს, მაგრამ მალე დადგება ის დრო, როცა ერი დაგვაფასებს. მე პირადად მილიონს საიდან მივიღებ, სულ მკიდია... რა მაგის პასუხია და მიშამ დაგირეკა? — გადაუხვია გუბაზმა.

— დამირეკა, დამაბრუნეთ საქართველოში და თითო მილიონი ჩემზე იყოსო. ეგ არ არი პრობლემა, დავაბრუნებთ, მაგრამ ერთი ისეთი მოთხოვნა აქვს, რომელიც სრული იდიოტობა მგონია.

— რა მოთხოვნა?

— სანამ დამაბრუნებთ, გმირად მაღიარეთო, ამიხსენი, არ არის სრული იდიოტობა? სხვათა შორის, ვალერი გელბახიანმა უკვე აღიარა, ჩემ სტუდიაში გამოაცხადა, სააკაშვილში უკვე გმირს ვხედავო, — გაიხსნა ბოლომდე აქუბარდია.

— ეგ მეც მომთხოვა, მაგრამ კაი პასუხიც მიიღო, პირდაპირ ვუთხარი, მაგას ერთი მილიონი არ ეყოფა-მეთქი. ორი იყოსო, არ არი პრობლემაო, ეხლა იმაზე ვფიქრობ, როგორი ფორმით ვაღიარო გმირად. აი, ის მომწონს ძალიან, მერაბ სეფაშვილი რომ ავიდა სცენაზე და დაამღერა, ჩემი გმირი გიწოდეო. რა ვქნა, მეც ხომ არ ავიდე სცენაზე? შენ ჭკვიანი კაცი ხარ და მირჩიე რამე, — მიაჩერდა გუბაზი აქუს.

— ნუ, ეხლა... ჩვენ რომ სცენაზე ავიდეთ, იქნება სრული იდიოტიზმი... მოდი, ხეზე ავიდეთ.

— აუუუ... გითხარი, ჭკვიანი კაცი ხარ-მეთქი... ჩემო აქუ, მოდი, იმ ხეს გაუმარჯოს, ჩვენ რო ავალთ და იქ ტყემლის ნაცვლად დოლარები დაგვხვდება! — დაიგუგუნა კვლავ გუბაზმა და კონიაკი გადაჰკრა.

— ჰი, ჰი, ჰი... შენ რა გითხარი, ჩემო ჯამბაზ, რანაირად იცი ხოლმე, კაცოოო... გაუმარჯოს იმ ტყემლის ხეს, სადაც დოლარები დაგვხვდება. გვიყუროს მერე შორიდან ბიძინამ... სწორედ ჩვენზეა ნათქვამი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი არ ჭამონ მტრისანიო! — ახიხინდა აქუც და კონიაკი გადაჰკრა.

— არცა ვჭამთ ჯავრსა... ხომ ლამაზია, ეს ჩვენი მიშა, მაგრამ ჩვენ უფრო ლამაზი გვინდა, აფეთქებული როგორც ატომი და... მოქნეული გავაზივითა!

— აუ, ეს თუ პირდაპირ ეთერში არ თქვა, შენ იყო მეგი გოცირიძე... ერთიც დავასხათ და შევიდეთ ეთერში, თორემ „ჯანგო“ გამიგდებს წიხლქვეშ!

— უკაცრავად, თქვენ პირდაპირ ეთერში იყავით და ეხლაც ხართ, — ამოიკვნესა ოპერატორმა.

— ჰი, ჰი, ჰი... ვართ და ვიყოთ... ერთი პაპიროზსაც გავაბოლებ და თან ვილაპარაკოთ, — ჩაიქნია ხელი აქუმ, — ისე, მაგარი იდიოტობა გააკეთა გუგული... რა გვარია? ისა, ჰო, მაღრაძემ, სტუდიაში არ მოწიოო... მოვწევ კი არა, დაგროვებით პენსიასაც დავიკიდებ ბიძინას ჯიბრზე... ეგ პენსია არ მეხება, მაგრამ მაინც დავიკიდებ და არც ღვედს გავიკეთებ, რაზე უნდა გავიკეთო, მიქოიანი იკეთებდა?!

— არც მიქოიანი იკეთებდა და არც შაჰ-აბასი, რა ფეხები მოსჭამეს? რა იცის ბიძინამ, ვინ იყო შაჰ-აბასი, საიდან უნდა იცოდეს? რა, პირადად იცნობდა თუ წიგნში ექნება წაკითხული?!

აი, ეგაა განათლება... მარტო ფულის კითხვა არ არი ქვეყნის სიყვარული. თუ სამშობლო გიყვარს, როგორც თამარ მეფეს უყვარდა, წინდებიც უნდა მოქსოვო და ქვრივ-ობლებს დაურიგო, პურიც უნდა გამოაცხო საკუთარი ხელით, ნინასავით ლექსებიც უნდა იკითხო!

— ეგრეა, ჩემო ჯამბაზ, ეს ცხოვრება არის სრული იდიოტიზმი და კრეტინიზმი... როგორც მიქოიანი იტყოდა ხოლმე, რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!

— ბატონო აქუ, ეხლა დავაფიქსირე, რატომ მეძახით ჯამბაზს? — სახე აელეწა გუბაზს.

— ჰი, ჰი, ჰი... ჩემო ჯამბაზ, ჩვენ ყველანი ჯამბაზები ვართ და ვიქნებით, სანამ მიშა არ გამოგვიხსნის ბიძინას ტყვეობიდან!

გადაცემა დასრულდა. აქუმ „გრელკა“ გამოიღო ყვერებიდან და ოპერატორს მიუგდო, ცხელი წყალი ჩაასხიო. გუბაზი მძიმედ აზვნეშდა სკამიდან და სტუდიიდან გაგორება დააპირა, მაგრამ შეყოვნდა, კართან ქუჩიდან შემოსული ძაღლი იდგა, პირდაპირ თვალებში უყურებდა. ეს საიდან? იკითხა გუბაზმა. რავი, სოლოლაკიდან ჩამოდის ხოლმე, ეჭვი მაქ, ბიძინას გამოგზავნილია, დაიკიდეო, მიუგო აქუმ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

თრიალეთის კოდალა

მიეცით „ჰუმანისტ“ ელისაშვილს ძალაუფლება და ის კბილებსაც ჩაგიმტვრევთ, თვალებსაც ამოგკორტნით და ციხეშიც ჩაგსვამთ!

ალეკო ელისაშვილი არ იცვლება — ის ისეთივე ცრუპენტელა და ჭორიკანა დარჩა, როგორიც იყო. ამიტომაც უცვლელად გთავაზობთ წერილს, რომელიც „საერთო გაზეთში“ 2017 წელს დაიბეჭდა.

●

„თუ ჩემ წინააღმდეგ და ხალხის მიერ გაკეთებული არჩევანის წინააღმდეგ ვინმე წავა, მართლაც

კბილებს დავამტვრევ“ — განაცხადა ალექსანდრე ელისაშვილმა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ცესკო თბილისის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატად დაარეგისტრირებდა.

სულ მცირე ხანში სახელგატეხილმა NDI-მ საკუთარი პრესტიჟის შესაბამისი კვლევის შედეგიც დადო, აგრესიული ელისაშვილი მე-2 ადგილზე გამოაცხადა. ხარობდა ელისაშვილი, კვლევა მაშინ ჩატარდა, როდესაც ჩემი კამპანია არ იყო დაწყებული, რადგან ოფიციალურად კანდიდატურაც არ მქონდა გაცხადებული, შესაბამისად, მე-2 ადგილი არ არის ცუდი დასაწყისიო. თუმცა, ნეტავ, NDI-ის კიდევ თავის მხრივ რა რჯიდა, საიდან და რატომ ჩააკვეხა ვინმე ელისაშვილი გამოკითხვაში ნაადრევად?

ამბობენ, მატყუარა ადამიანს ეზრდება ცხვირიო, მაგრამ ალეკო ხომ მატყუარა არ არის, ის უბრალოდ ბოდიშის მოხდის მოყვარე ახალგაზრდა, ენერგიული კაცია. რამდენი ბოდიში აქვს გადახდილი ალეკოს სიცოცხლის მანძილზე, ვინ იცის...

ეგებ ვინმემ შეაპაროს რამენაირად: შვილო, ძმაო ან ბატონო გრძელცხვირა ალეკო, წარამარა საბოდიშოდ რატომ იხდი საქმეს, ცხვირი — ჯანდაბას, გარეგანი ორგანოა და არ გემორჩილება, ყველგან ეჩრება, მაგრამ ეგ ენა შენ პირში არ არის, რატომ გივარდება ვარანივითო?

ვიკიპედია გვამცნობს ბატონი ელისაშვილის შესახებ, რომ ის, მაგალითად, შეწყალების კომისიის თავმჯდომარეც ყოფილა 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის აპრილამდე. პრეზიდენტ მარგველაშვილის თქმით, კომისიის თავმჯდომარე და წევრები მათი იმ ღირებულებებისა და ჰუმანურობის მიხედვით შეურჩევია, რაც ამ ადამიანების ბიოგრაფიას გასდევდა თან.

ჯერ ხომ პრეზიდენტის ბიოგრაფია იყო (და არის) მოვარაყებული და ელისაშვილიც დაერთო... თუმცა, რატომაც არა, ერთი ხიდან მომწყდარი ვაშლები შორი-შორს ხომ არ გორდებიან?

პრეზიდენტისა ვიცით და თურმე „ხალხოსანი“ გრძელცხვირა ალეკოც ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოში“ მუშაობდა, გრანტების გამანაწილებელი ჯგუფის წევრი იყო. დაზუსტებული ინფორმაციით 2010 წელს ფონდში მუშაობდა, ხოლო რომელ წელს მივიდა აღნიშნულ ფონდში და როდემდე ტკბებოდა, რაღა მნიშვნელობა აქვს, როგორც ელისაშვილის „ნათლია“ (სწორედ მან შეარქვა „თრიალეთის კოდალა“ ალეკოს) ბატონი რეზო ამაშუკელი ამბობს, თუ ვინმე ერთხელ მაინც გახახუნებია სოროსის ინსტიტუტის კედელს, დასნეულებულია, კეთროვანივით მოსარიდებელიაო...

„თრიალეთის კოდალა“ ერთხელ სამების აღმართსაც აასკდა და „რუსთავი 2-ის“ ეთერიდან (გადაცემა „არჩევანი“) დასჭექა, აუდიტის სამსახური საპატრიარქოში უნდა შევიდეს და შეამოწმოს საპატრიარქოს ხარჯებიო.

დავივჯეროთ, რომ დამოუკიდებელმა დეპუტატმა გრძელცხვირა ალეკომ არ იცოდა, რომ სახელმწიფო აუდიტის კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვე-პუნქტის თანახმად, აუდიტის შემოწმება არ ვრცელდება კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე (ანუ კანონის მიხედვით, აუდიტის სამსახურს არ აქვს საპატრიარქოს შემოწმების უფლება) ხალხი ეჭვობს, რომ ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ სადაც „იდგა“ („რუსთავი 2“) იქიდან „სხვაგვარად არ ძალუძდა“!

ეს ის გრძელცხვირა ელისაშვილია უეცრად მეხსიერება რომ

გაუნათდა და გაახსენდა, რომ როდესაც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე იყო, პატიმრის გამოშვებაში მილიონების (დოლარში) მიღებას მმართველი გუნდის წევრები ცდილობდნენ და ამის გამო პოლიტიკოსების მხრიდან ზეწოლას განიცდიდა, თურმე თანხის ნაწილი უკვე აღებულიც კი ჰქონიათ. ზეგავლენით ვაჭრობა — ამ მუხლით მიმდინარეობს გამოძიება იმ ჩვენების საფუძველზე, რომელიც გრძელცხვირა ალეკომ მისცა პროკურატურას.

უჩა ნანუაშვილი მხრებს იჩეჩდა, არანაირ ვარაუდებს არ დავუშვებ, არანაირი სახის და არანაირი ფორმის ზეწოლა არ მომხდარა ჩემზეო; იქით ქალბატონი მუხაშავრია იყო გაოცებული, რა ზეწოლაო; არც სხვები ამბობდნენ (ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა), ვიღაცები საიდანღაც მაწვებოდნენო და რაღა ეს კაცი დაიბრიყვეს?

რაგინდ გრძელი ცხვირი ჰქონდეს ადამიანს, როდესაც აცხადებდა, რომ მას მობილურზე ტექსტურ შეტყობინებას უგზავნიდა მმართველი გუნდიდან კონკრეტული პირი და თუ ეს ჩანაწერი შენახული ჰქონდა (უნდა ჰქონოდა), რა ეწერა იმ შეტყობინებაში რაც ზეწოლად ჩათვალა მან, რომ არ გვითხრა და არც აღმოჩნდა აღნიშნული „ისტერიული ზარები და მესიჯები“ მის მიერ პროკურატურაში წარმოდგენილ და მისივე თანდასწრებით გახსნილ მის მობილურში, ეს ამბავი როგორღა იყო?

გაგრძელება — ორიოდე დღეში ფურცელს, სადაც სატელეფონო ამონაწერი იყო ამობეჭდილი თარიღითურთ, სულ რვიანები ახაზვინა ელისაშვილმა ჰაერში, აი, აქ არის ის ნომერი, რომელიც 591-ზე იწყებაო; მე ორსაათნახევრის შემდეგ ვუპასუხე, მანამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და თვით პრეზიდენტს ვაჩვენეო, ხოლო დაახლოებით თვე-ნახევარში გიორგი ბადაშვილსა და მის მოადგილეს შევხვდიო. აფირისტ! — იტყოდა ცხონებული ბებიაჩემი...

უმთავრესი არ დაგავიწყდეთ, ეს ის გრძელცხვირა კაცია, რომელიც 2010 წლის 7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში 8 ახალგაზრდის დაკავების პროვაკაციაში მონაწილეობდა და იმათთაგანი, ვინც იმ საშინელი რეჟიმის ხელში სააკაშვილის ციხისთვის გაიმეტა ეს ბიჭები ერთი ხელის მოსმით?

სხვათაშორის, ისიც ითქვა, რომ ელისაშვილის დაფუძნებული „ჰამქრის“ საქმიანობით დაინტერესდა პროკურატურა, რომელიც იმ შავ-ბნელ 2006 წელს შეიქმნა და ამან გადარია და აურია გონებაო. სხვათაშორის, სადავო საკითხებში „ჰამქრის“ გვერდზე მუდმივად „საია“ ფიგურირებდა... თბილისი რომ ლამის სომხურ ქალაქად გამოაცხადა და მდაბლად მოუხარა თავი მელიქ კაზარიანცის სულს, ეს კიდევ სხვა თემაა...

დიახ, ალეკო ელისაშვილს აქვს დიდი ცხვირი, თუმცა ეს სულაც არ არის ფიზიკური ნაკლი, პირიქით, უხდება კიდეც „ფიზიკური მატება“, აი, ფიგურალურად გრძელი ცხვირი განა არ უხდება მხოლოდ, ცუდად ებლანდება ფეხებში, იმ ფეხებში, რომლითაც ტრაქტორზე ახტა და ტრაქტორისტს უყვიროდა, შეწყვიტე მუშაობა, დროზე გამორთეო...

აი, ასეთია ამ კაცის ვინაობის არავიკიპედიური მონახაზი!

ძრწოდეთ, ჰუმანური ალეკო ელისაშვილი კბილებსაც ჩაგიმტვრევთ, თვალებსაც ამოგკორტნით და ციხეშიც ჩაგსვამთ, თუ უფლებამოსილება მიეცემა!

გიორგი ჩხეიძე

სამყარო უფრო მეტად დიადი აზრია, ვიდრე დიადი მანქანა

კარლ იუნგმა ადამიანები ორ ტიპად დაყო, ექსტრავერტებად და ინტრავერტებად. ექსტრავერტებმა მარტოობასთან შეგუება უნდა შეძლონ, ინტრავერტებმა აქტიური ცხოვრება. ამ გზით მიაღწევენ გაწონასწორებულ ფსიქიკას. აგრესიულებს-ინური ენერგიები სჭირდებათ, დეპრესიულებს-იანური. მაგრამ მხოლოდ საკუთარი ემოციები და აზრები არ განაპირობებენ მოვლენებს, რომლების მონაწილენიც ვხდებით, სხვა ადამიანების ენერგეტიკაც ისევე ზემოქმედებს ჩვენზე, როგორც ჩვენ გარემოზე. ემოციები გადამდებია



და გავლენას ახდენს გარშემომყოფებზეც. ცოდნა, სწორი არჩევანი და გარემო პირობების შექმნა ფსიქო-ენერგეტიკული დაცვისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მხოლოდ პოზიტიური ინსტრუქციები.

კვანტურ დონეზე რეალობის აღქმა ხდება დამკვირვებლის ვარაუდებით, მთელი სამყარო სწორედ ამ ფორმით განისაზღვრება ჩვენთვის. ქვეცნობიერი აზრები წარმოადგენს სუბატომური ნაწილაკების ექვივალენტს. ჩვენ საქმე არ გვაქვს ფიზიკურ რეალობასთან, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენება მაკროსკოპიულ დონეზე, მიკროსკოპიულ დონეზე ეს ყველაფერი არის ენერგია და ინფორმაცია. ამ შემთხვევაში საქმე არა ნაწილაკებთან, არამედ იმ სფეროებთან გვაქვს, სადაც ჩვენი ცნობიერი და ენერგია მარტივად ურთიერთქმედებენ, მაშინ როცა ზედა დონეებზე ისინი აღიქმებიან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ეს არის ცნობიერისა და მატერიის ღრმა კავშირი.

გრეგ ბრეიდენის დასკვნით, საერთო ველი აერთიანებს ატომებს და გრძნობებს, ადამიანებს და საგნებს, ჩვენი შინაგანი გრძნობები ცვლიან აღქმას და შესაბამისად მატერიის გარეგნულ მდგომარეობას სუბატომურ დონეზე. ამდენად, როგორც ის აცხადებს ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებებს ჩვეულებრივ შეუძლია მოახდინოს ზეგავლენა მატერიაზე, ანუ ჩვენს რეალობაზე, რადგან ისინი (ჩვენი გრძნობა და რეალობა) ერთი მედალის ორი მხარეა. გაცილებით ღრმა, მიკრო სამყაროში ისინი სრულიად ერთიანდებიან. ეს ველები და ღრუბლები ებმიან ერთმანეთს სიმებით (სიმების თეორია) და დამუხტულები არიან სიცოცხლის შესახებ ინფორმაციით. რაც მეტად შორს მივდივართ, მით უფრო მეტად ვხედავთ ფსიქოფიზიკურ და ფიზიკურ-ემოციურ კავშირებს. ჩვენი გაუცნობიერებელი დონეები კავშირშია და მეტიც, საერთოა ჩვენს გარშემო არსებულ ობიექტებთან. ისინი ხომ ერთ სივრცეში არსებობენ. ფიქრები გამოხატულებაა ჩვენი ქვეცნობიერი რწმენების, გამოდის რომ ჩვენი გაუცნობიერებელი დამოკიდებულებები და რწმენები მართავენ ჩვენსავე რეალობას. ეს რწმენები იტვიფრება ჩვენს ცხოვრებაზე და



ხდება ჩვენივე ბედის დაპროგრამება. აქ მთავარი პრობლემა ისაა, რომ აზროვნების პროცესის დიდი წილი, საიდანაც ჩვენი დამოკიდებულებები და მოლოდინები ფორმირდება დაფარულია ქვეცნობიერში და იმის გამო რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ გაცნობიერებას, ვერ ვახდენთ კონტროლს. ამის გამო ჩვენ დაბლოკილები ვართ მატრიცის გარეთ და ვერ აღვიქვათ მსგავსი კავშირების სიღრმეს. მატრიცა ეს არის ჩვენი ილუზია რომ ყველაფერი გამიჯნულია და მყარია, ამის მიღმა კი იმალება სულ სხვა რეალობა.

აინშტაინმა გვაჩვენა რომ ეგრედწოდებული სიმყარე სხვა არაფერია თუ არა მირაჟი. ყველა ფიზიკური მატერია ჩვენს ირგვლივ ფორმირდება ენერგიის ვიბრაციის სიხშირით, თუ შეიცვლება სიხშირე შესაძლოა შეცვალო მატერიის სტრუქტურაც. ადამიანების უმრავლესობა ჩაკეტილია ამ მატრიცაში, რწმენაში იმისა, რომ ყველაფერი რაც ჩვენს ირგვლივაა, არსებობს ჩვენგან განცალკავებით. ჩვენი ღრმა ნაწილი თავად მუშაობს ჩვენი აღქმის ამგვარად ფორმირებაზე და ეს ხდება ქვეცნობიერ, სუბატომურ დონეზე. გაუცნობიერებლად ჩვენ ვქმნით არასასურველ შედეგებს, რისიც ყველაზე მეტად გვეშინია, ანუ ვახდენთ ჩვენივე შიშების რეალიზებას. ფარული სურვილების დემონსტრირებაც ხდება ჩვენს რეალობაში, ასევე იმის, რისი გახსენებაც კი უსიამოვნებას გვანიჭებს, ერთი სიტყვით გაჭედილი ვართ ნორმებსა, გარკვეულ პროგრამებსა და შაბლონებში. ინდივიდუალური პროგრამები ჩვენ გვაიძულებს საკუთარი თავის აღქმას ყველაფრისგან დამოუკიდებლად და განცალკავებით, ჩვენ ვკარგავთ სამყაროსთან ერთიანობის შეგრძნებას. ზრდასრულ ასაკშიც კი იმ შაბლონებით ვაგრძელებთ ცხოვრებას, რომელიც შევიძინეთ ბავშვობაში. ეს არის რაღაც კარმის მსგავსი. დაკვირვების პრობლემაც სწორედ ამაში მდგომარებს, იგი დამკვირვებლის შემოქმედებითი აქტია და ამას ყველა ჩვენგანისათვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ყველა თვისებას რასაც ჩვენი ქვეცნობიერი ანიჭებს დაკვირვების ობიექტი მყისიერად იძენს. უამრავი მეცნიერული კვლევით დამტკიცდა,



რომ ჩვენი ფიქრები და ემოციები, ჩვენ გარშემო ელექტრონულ ველს ქმნის. ექსპერტების მტკიცებით, უახლოეს მომავალში ადამიანი თავად შეძლებს თავად განაგოს წარმოებული ენერგია, რომელიც ჩვენ ფიქრებს და აზრებს უკავშირდება, როგორც კი ადამიანი აღნიშნულ პრაქტიკას შეისწავლის ის შეძლებს უამრავი სერიოზული დაავადების დამოუკიდებლად მკურნალობას. თუ ვისწავლით საკუთარი ემოციების კონტროლს, შესაძლებელი იქნება ჩვენს ირგვლივ ძლიერი ელექტრომაგნიტური ველი შევქმნათ, რომლის დახმარებითაც გავაკონტროლებთ ყველაფერს ჩვენს გარშემო და ჩვენ ორგანიზმში.

ადამიანის გრძნობები და ემოციები მისი სულის სარკეა, რაც ხდება ჩვენს შიგნით ის ხდება ჩვენს გარშემოც. "მოწყენილობა, შიში და რისხვა ის მიზეზებია, რომელთა გამოც თოლიას სიცოცხლე ასე ხანმოკლეა", – წერდა ბახი თოლიებზე და ადამიანებს გულისხმობდა, თუმცა ეს ყველაფერი ფანტასტიკის სფეროში რჩებოდა, ვიდრე საქმეში მეცნიერები ჩაერთვებოდნენ. მათ დაამტკიცეს, რომ კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანმა საკუთარი ემოციების მართვა ისწავლოს. სევდის, ბრაზის, მწუხარების პოზიციიდან შეუძლებელია პროგრესის განცდა, თუმცა ბედნიერების განცდა იმ გარემოში, რა გარემოშიც ვცხოვრობთ, ძალიან რთულია. ადამიანები იტანჯებიან შიმშილით, წყურვილით, არ აქვთ ტანისამოსი, თავშესაფარი, ადამიანები ომობენ, სამყაროში ბევრი სისასტიკე ხდება და დედამიწასაც სერიოზული ზიანი ადგება, თითქოს მის რესურსებსაც აქვს ლიმიტი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ამ პრობლემების მოგვარებაზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, მათი ბოლომდე გადაჭრა ვერ ხერხდება. ეს ყველაფერი თითქოს შეუძლებელს ხდის პოზიტიური ემოციები შევინარჩუნოთ, მაგრამ საჭიროა გააზრება, რომ ჩვენ ვერაფერს შევცვლით, სანამ საკუთარ ემოციებს პოზიტიურად არ გარდავქმნით და სულიერ სიმშვიდეს არ მივაღწევთ. ბედნიერება რომ გარეგან პირობებზე დამოკიდებული განცდების ერთობლიობა იყოს, მისი შენარჩუნება შეუძლებელი იქნებოდა. იგი შინაგანი მდგომარეობაა. კაცობრიობა თავისი არსებობის

მანძილზე ცდილობს ააწყოს სისტემა, სადაც ყველა კარგად იგრძნობს თავს და არავინ დაიტანჯება, რადგან ჩვენ ყველანი ერთნი ვართ და ერთის ტანჯვა ავტომატურად მთელი ორგანიზმის წამვლას იწყებს, თუმცა საინტერესო ისაა, რომ ის თუ რას გრძნობს ადამიანი, მთლიანად მისი არჩევანია. ჩვენი განცდები მთლიანად იცვლება ჩვენი დამოკიდებულების, ფიქრების შეცვლი თ. ნებისმიერი ნეგატიური ემოცია, რომელსაც რომელიმე ადამიანის, ემოციის ან მოვლენის შესახებ ვგრძნობთ, მთლიანად ჩვენი ფიქრების შედეგია, ჩვენ მიერ მიღებული გამოცდილებით დაგროვილი ინფორმაციის მექანიკური რეაქცია. ის თუ როგორ ვართ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვფიქრობთ. ამიტომ ხდება, რომ ბევრი ადამიანი ნებისმიერ პირობებში ახერხებს მოძებნოს წერტილი, რომელზეც საკუთარ სულიერ სიმშვიდეს დააშენებს.

უფრო მეტიც, კვანტური ფიზიკის განვითარებამ გვაჩვენა, რომ ჩვენ გარშემო არსებული რეალობა მთლიანად განპირობებულია ჩვენი ცნობიერის ხასიათით. ჩვენი ფიქრები და ემოციები განსაზღვრავს ჩვენს ცხოვრებას. სწორედ ამ დასკვნამდე მივიდნენ ერთ-ერთი ინსტიტუტის მკვლევარებიც. თუ გინდა, რომ რამე შეცვალო, უნდა შეცვალო მის მიმართ დამოკიდებულება. სხვაგვარად ვერაფერს შეძლებ.

ჯერ კიდევ ფიზიკოსებს შორის პიონერი ჯეიმს ჯონსი წერდა: სამყარო უფრო მეტად დიადი აზრია, ვიდრე დიადი მანქანა. გონება დამხმარე საშუალება კი არ არის მატერიალური სამყაროს გააზრების პროცესში, იგია თავად შემოქმედი ამ მატერიისა. სამყარო არამატერიალური, მენტალური და სულიერია.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„საერთო გაზეთის“ რედაქციას

მაქვს პატივი მოგესალმოთ, გამოვხატავ თქვენდამი პატივისცემას და მინდა გაგეცნოთ, თქვენდამი მომმართველი პირი, დაფიქსირებულ სტატიაში არაერთხელ, სხვადასხვა კონტესტში უსამართლოდ და უმოტივაციოდ ნახსენები, თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე 2006 წლიდან ბესიკ ხარატიშვილი.

ქალბატონი ხათუნა ჩიტიშვილის საგაზეთო პუბლიკაციაში დაფიქსირებული ჩემთან შემხებლობაში გარემოებანი ტყუილია და ემსახურება ჩემი სახელის და ღირსების შებღალვას და დაკნინებას. კერძოდ, ქალბატონი ჩიტიშვილი მეტროს პროფკავშირების კომიტეტის წევრი და კომიტეტის გამგეობის წევრი მთელი 12 წელიწადი, როგორც თქვენი რესპონდენტი საგაზეთო სტატიაში აპელირებდა, სიმართლეს არ შეესაბამება. იგი თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის წევრი საკუთარი განცხადების საფუძველზე გახდა 2007 წლიდან (გირთავთ დასტურს). 2011 წლიდან თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის გამგეობის წევრად იქნა არჩეული.

ზემოთაღნიშნულმა პირმა თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის რიგები მისივე განცხადების საფუძველზე დატოვა 2018 წლის 1 მარტიდან (გირთავთ დასტურს). შესაბამისად, საბუთებით დასტურდება, რომ ქალბატონი ჩიტიშვილი მოძრაობის სამსახურის პირველადი პროფესიული კავშირის კომიტეტის და გამგეობის წევრი იყო არა 12, არამედ, 7 წელი. საკუთარი განცხადებით დატოვა თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის რიგები და გადავიდა „ერთობა-2013“-ში. ქალბატონი ჩიტიშვილის დევნის მიზეზი, როგორც აცხადებს, თანამშრომლებში აგიტაციის გაწევა, რათა თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირიდან „ერთობა-2013“-ში გადასულიყვნენ თანამშრომლები, სიმართლეს არ წარმოადგენს. პროფკავშირის წევრობა გახლავთ თავისუფალი არჩევანი და არჩევანი არადასჯადია. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თქვენი რესპონდენტი ვერ ერკვევა უმთავრესში, სადაც იყო ამდენი ხნის განმავლობაში, როგორც პროფკავშირის წევრი და ორგანიზაციაში, სადაც მან წლები გაატარა, არის არა გაერთიანებული



პროფკავშირი, არამედ არის სტატიაში ჩემი თავმჯდომარეობით გამართული კრება, სადაც საკითხთა მოცულობიდან გამომდინარე, სამი დღის განმავლობაში დროის კონკრეტულ ინტერვალებში აღნიშნული წარმართვა არ მიმიძღვნია ყოველივე ქალბატონი ჩიტიშვილის ლანძღვა-გინებსთვის.

სტატიაში მოყვანილი გარემოება, თითქოსდა თანამშრომლებთან განმიცხადებია, რომ ჩემს ანგარიშზე აკუმულირებული იყო 70 000 ლარი, სიმართლეს არ შეესაბამება. ყოველწლიურად კანონის მოთხოვნის შესაბამისობით და დაცვით ვახდენ ქონებრივი დეკლარაციის შევსებას, რომელიც ღია ინფორმაციაა. აღნიშნული ეყრდნობა ოფიციალურ საბუთებს, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად მტკიცდება ზემოთაღნიშნულის სიცრუე.

ჩემი ქალიშვილის ქორწილი მქონდა 2016 წლის 24 ივლისს, რესტორან „იბერიაში“, სადაც თამადა გახლდათ ჩემი ბავშობის მეგობარი ბესარიონ ქარცივაძე. ქორწილში დაპატიჟებული იყო საზოგადოება, მათ შორის ქალბატონი ხათუნა ჩიტიშვილიც (გირთავთ დასტურს). აღნიშნული პირი ასევე ესწრებოდა 2016 წლის 21 იანვარს რესტორან „იბერიაში“ ჩემი 50 წლის იუბილეს, სადაც თამადა იყო ჩემი მეგობარი ბესარიონ ქარცივაძე (გირთავთ დასტურს). შესაბამისად, შეურაცხმყოფელია, როდესაც „საერთო გაზეთი“ რესპონდენტის მიერ ტენდენციურად გაჟღერებულ გარემოებას ფაქტობრივ რეალობად წარმოაჩენს და არ იქნა გადამოწმებული თქვენდამი მომმართველ მხარესთან. მოხდა ჩემი პატივისა და ღირსების შეურაცხყოფა, აღნიშნული ასევე, ეხება საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის ირაკლი პეტრიაშვილის 2017 წელს არჩევნების დროს მისი მოწინააღმდეგე კანდიდატის დავით ოქიტაშვილისადმი მხარდაჭერას. ჩემი პოზიცია 2006 წლიდან დღემდე ბატონი ირაკლი პეტრიაშვილის მხარდაჭერისა და თანადგომის განაცხადია. რაც შეეხება ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემი ძმები: კალე მუშაობს მეტროპოლიტენში 1992 წლიდან, გია 1994 წლიდან, და ელენე 1997 წლიდან, მეუღლე 2015 წლიდან. ოჯახები, რომელთა სამი, ოთხი და ხუთსულიანი წევრები არიან, არაერთია მეტროპოლიტენში და ათწლეულებია მუშაობენ. აღნიშნულ ორგანიზაციაში მათ შორის ხათუნა ჩიტიშვილის ოჯახის წევრებიც წლებია მეტროპოლიტენის სხვადასხვა განაკვეთებზე მუშაობენ. მეუღლე გიორგი (გელა) ბოლქვაძე 2008 წლიდან. გიული ჩიტიშვილი 2016 წლიდან. მისი სამუშაოზე მიღების რეკომენდატორი პირადად მე ვიყავი.

ზემოაღნიშნულით თქვენდამი მომართვა განაპირობა გადაუმოწმებლად დაფიქსირებულ სტატიაში რესპონდენტის განაცხადის უსამართლობამ. თქვენს გაზეთს ჰყავს მკითხველი, მათ შორის, ჩემი ოჯახი, ოჯახის წევრები, სამეგობრო, რომელთა განწყობა უკიდურესად უარყოფითია იმ სტანდარტისადმი, რომელიც სტატიას ლაიტმოტივად გასდევს. სტატიის ბოლოში რედაქციის მინაწერის შესაბამისად, დაზღვეული წერილის ფორმატით, მოგმართავთ და აღნიშნული მიზანშეწონილად მიმაჩნია უცვლელად დაიბეჭდოს.

პატივისცემით,

ბესიკ ხარატიშვილი
თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე

რედაქციისგან: ავტორის დაჟინებული თხოვნით წერილს უცვლელად ვბეჭდავთ.

გია და გია



იური როსტი:

— მითხარი, ნიკოლაიჩ, — ვეკითხები გიორგი დანელიას, — გია ყანჩელზე რომ დავწერო, გენიოსია, ხომ მართალი იქნება?

— უბრალოდ გენიოსი?

— ჰო, უბრალოდ გენიოსი.

— ეწყინება.

— ნიჭიერი გენიოსი?

დანელია თავისი ბინის ფანჯრიდან ჩისტიე პრუდის გაჰყურებს, თან თავის ამხანაგ კატებს — აფონიასა და შკეტს ეფერება, უსტვენს გია ყანჩელის მელოდიას თავისი ფილმიდან „ცრემლები ცვიოდა“ და მხრებში გამართული (როგორსაც ახლა იშვიათად თუ ნახავთ) ბოლთას ცემს ოთახში. ფიქრობს.

— კი, ასე შეიძლება.

უჰ!

ახლა უკვე შეკითხვას ვუსვამ ყანჩელს, რომელმაც მუსიკა დაწერა დანელიას ფილმებისთვის: „არ იდარდო!“, „მიმინო“, „ქინ-ძა-ძა“, „პასპორტი“:

— როგორი იყო ერთობლივი მუშაობის პროცესი, ის ხომ გამორჩეულად მუსიკალურია?

— როგორ და, ვჯდები ინსტრუმენტთან, ვასმენინებ. ის დუმს. კიდევ ერთხელ ვუკრავ, აკორდს ვახანგრძლივებ. ამ დროს მოდის, ზურგს უკნიდან ხელს გამოიწვდის და ჩემს თითებს შუა კლავიშს აწვება.

— განა, ასე უკეთესი არ არის, გია?

— ასე წარმოუდგენელია, გია!

ისევ ვუკრავ. ის ისევ იმ კლავიშს აწვება.

— დაფიქრდი!

შინ ვბრუნდები, ვუკრავ თემას. ჯანდაბა! — ის ხომ მართალია.

ყანჩელი ფანჯარაში იყურება. იქ არც ჩისტიე პრუდი მოჩანს და არც მისი მშობლიური ქალაქი — თბილისი, სადაც რობერტ სტურუას თეატრისა და ჯანო კახიძის ორკესტრისთვის მუსიკას წერდა; არამედ ეს არის ბელგიური ქალაქის, ანტვერპენის მყუდრო ქუჩა, სადაც ველოსიპედებზე შემომსხდარი დეკორატიული ორთოდოქსი ებრაელები, წვიმიან ამინდში შლიაპებზე ჩამოცმული პოლიეთილენის პაკეტებით თავიანთი ბრწყინვალე საქმეების მოსაგვარებლად მიეშურებიან.

ის, ქართველი, ამ კვარტალში იმიტომ არ დასახლებულა, რომ შაბათობით მეზობლებს კონდიციონერი ჩაურთოს ან ლიფტის ღილაკზე ხელი დაუჭიროს. ის აქ მუშაობს, კონტრაქტები აქვს გაფორმებული ძველი სამყაროს ქვეყნების უდიდეს სიმფონიურ ორკესტრებთან. და ისინიც ასრულებდნენ და ასრულებენ ამ ნაწარმოებებს პირთამდე სავსე დარბაზებში. აღფრთოვანებული მსმენელი, ბრწყინვალე კრიტიკა, და ისეთი ეპითეტები, რომლებსაც მე და დანელია ვერც კი მოვიფიქრებდით. შემსრულებლები? მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო რანგის! დავასახელებ რამდენიმეს, რომელთა სახელები თქვენთვის, ალბათ, ნაცნობია: მსტისლავ როსტროპოვიჩი — ვიოლონჩელი (სამწუხაროდ, ახლა უკვე აღარ), იური ბაშმეტი — ალტი, გიდონ კრემერი — ვიოლინო... გერმანიის, ჰოლანდიის, ბელგიის, დანიის ინგლისის საუკეთესო ანსამბლები (თვალი შეავლეთ ევროპის რუკას — იქ ყველა ქვეყანაა, სადაც ყანჩელის მუსიკას უკრავენ).



კომპოზიტორის ერთ ციცქნა კაბინეტში ვუსმენთ მის ბოლოდროინდელ ჩანაწერებს, საოცარ მუსიკას — ლამაზსა და ღრმას.

— მოგწონს?

— მომწონს, — გულწრფელად ვეუბნები, თუმცა ჩემს ლექსიკაში არ არის საკმარისი სიტყვები საიმისოდ, გია ყანჩელის ნაწარმოებების მოსმენის შედეგად გაჩენილი შთაბეჭდილებები რომ გადმოვცე.

სიგარეტს უკიდებს და უნდობლად მიყურებს. მე კი ჩემთვის ვფიქრობ:

დავწერ, რომ გენიოსია. დაე, ეწყინოს.

თანამედროვე ქანდაკებების პარკში გიას უყვარს პატარა მდელო, რომელზეც დგას ბრინჯაოს ორი ქანდაკება — ფეხმძიმე ქალები თავის თავს ელაპარაკებიან. და კიდევ, მგონი, ჯაკომო მანცუს ნამუშევარიც — ჩაცუცქული მამაკაცი. ზედგამოჭრილი კახელია, რა!

„გადაიღე და დანელიას აჩვენე“.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „ავერსის“ კლინიკის თანამშრომლებს, რომელთა მაღალი კვალიფიკაციისა და გულისხმიერების წყალობით, უმოკლეს ვადაში შევძელი აქტიურ ცხოვრებას დავბრუნებოდი.

განსაკუთრებული მადლობა ექიმ-კარდიოლოგს, მედიცინის დოქტორს, გადაუდებელი კარდიოლოგიის სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ ეკატერინე სალირაშვილს, ინტერვენციულ კარდიოლოგს, ბატონ მურმან ქანთარიას, აგრეთვე, „ავერსის“ კლინიკის მთელ მედპერსონალს, რომლებიც, არა მარტო მაღალი პროფესიონალიზმით და საქმის ცოდნით, არამედ პაციენტებისადმი დიდი სითბოთი და სიყვარულით გამოირჩევიან.

„ავერსის“ კლინიკა სამედიცინო ტექნიკის უახლესი მიღწევებით არის აღჭურვილი და ყველა თანამედროვე მოთხოვნას სათანადოდ პასუხობს.

კიდევ ერთხელ ვუხდით დიდ მადლობას „ავერსის“ კლინიკის შესანიშნავ კოლექტივს და წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

ეკატერინე სალირაშვილი

მურმან ქანთარია

ვახტანგ ხარჩილავა
მწერალი,
„საერთო გაზეთის“
მთავარი რედაქტორი

ვინ ბერდება გვიან?

კვლევის დასაწყისში გერონტოლოგები ზომავდნენ მოხალისეთა ტელომერების (ქრომოსომების) სიგრძეს. იგი მოკლდება უჯრედის ყოველი გაყოფისას და ითვლება ორგანიზმის დაბერების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად.

აღმოჩნდა, რომ ვინც ნაკლებად მოძრაობს მალე ბერდება. ხანდაზმულ ასაკში ფიზიკური აქტივობა და მაღალი დონის აქტივობა ააქტიურებს გენ NFR1-ს.

ახალგაზრდობის გახანგრძლივების საუკეთესო მეთოდია ნაკლები ტკბილეულის მიღება. ტკბილის ნაცვლად მეცნიერები გვირჩევენ უროლითინით მდიდარ პროდუქტებს. ის შედის ნიგოზში, ბროწეულსა და მარწყვში.

სიცოცხლის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად ზრდის წიწაკა. ის ხელს უშლის გასუქებას, ამცირებს გულ-სისხლძარღვთა და ფილტვის დაავადებათა განვითარების რისკს.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
ნომრის რედაქტორი: ირანდა კალანდაძე

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001